# საქართველო

წელიწადი მეექვსე | სამშაბათი, იანვრის 13 1920 წ. № 8 | ფასი 3 მან.

## პირველ იანვრიდან გამოდის

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

# საქართველო

1920 წ. (წელიწადი მეექვსე) 1920 წ.

გაზეთი არის ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულებისა, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებას: ვაჭრობა-მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის წარმატებას, აგრეთვე საპროფესიო და სატექნიკო ცოდნათა გავრცელებას.

გაზეთში მონაწილეობენ ცნობილი პუბლიცისტები და მწერლები.

გაზეთს ყავს კორესპონდენტები ევროპაში და სპეციალი ტელეგრაფი- კორესპონდენტები საქართველოს ყველა ქალაქებსა და დაბებში, აგრეთვე ბათომში, აზერბაიჯანში, სომხეთში და ჩრდილო-კავკასიაში, რაც საშუალებას აძლევს მას მიაწოდოს მკითხველ საზოგადოებას ფართო ინფორმაცია, როგორც შინაური ცხოვრებისა, ისე უცხოეთის ვითარებისა.

პირველ იანვრიდან გაზ. „საქართველოს“ გამომცემლობა იკისრა, თანახმად თბილისის ვაჭარ მრეწველთა დადგენილებისა, საგანგებოდ არჩეულმა კომიტეტმა. კომიტეტი მიმართავს თბილისისა და სხვა ქალაქების ვაჭარ-მრეწველთ განურჩევლად ეროვნებისა ამ თავითვე დაიკვეთონ მთელის წლით გაზ. „საქართველო“ და ერთად შემოიტანონ ხვედრი ფული არა ნაკლებ ასი თუმნისა. ხელის მოწერა მიიღება: გაზეთის კონტორაში (დამფუძნებელი კრების ქ. № 5.) ქართულ კლუბში ნიკოლოზ წვერავასთან, სამეურნეო ბანკში პ. გოთუასთან, ამიერ კავკასიის ბანკში ი. ლორთქიფანიძესთან, პუშკინის ქუჩაზედ ალექსანდრე ძეველლოვთან, შუა ბაზარში იოსებ გველესიანთან, რკინის გზის სადგურის რაიონში სესიაშვილების ქარხანაში—დავით კალანდაძესთან, მეორე ქართულ კლუბში დიმ. დუმბაძესთან, პლეხანოვის ქუჩაზედ სასტუმრო „ნოე“-ში ნოე სიხარულიძესთან და ბორჯომის ქუჩაზედ სპ. ზენდუკიძესთან, სავაჭრო პალატაში მიხ. ჯავახიშვილთან.

### გაზეთის ფასი:

| ერთი წლით | ნახევარ წლით | სამი თვით |
|---|---|---|
| 1000 მან. | 600 მან. | 300 მან. |

მისამართი: თბილისი, დამფუძნებელი კრების (ყ. სასახლის) ქუჩა № 5. ქართული ქარვასლა. ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. დეპეშის მისამართი: თბილისი „საქართველო“.

---

პარასკევს, 9 იანვარს გარდაიცვალა

**ვასილ ივანეს ძე პეტრიაშვილი**

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ქვრივი მიცვალებულისა—ანა, შვილები—ელენე და ნინო და სიძე ამროსი ბახტაძე. გამოსვენება დანიშნულია სამშაბათს, 13 იანვარს, დილის 12 საათზე, საკუთარ ბინიდან, ქუთაისი. ივანოვის ქუჩა. პანაშვიდი ყოველ დღე 5 საათზე. 2709 1

---

პარასკევს, 9 იანვარს გარდაიცვალა

**ვასილი ივანეს ძე პეტრიაშვილი**

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძმები ლეონტი და დავითი პეტრიაშვილები შვილებით. გამოსვენება დანიშნულია სამშაბათს 13 იანვარს დილის 12 საათზე საკუთარ ბინიდან, ქუთაისი, ივანოვის ქუჩა. პანაშვიდი ყოველ დღე 5 საათზე. 2709—1

---

## სახელმწიფო თეატრი

ოპერა ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

კვირას იანვრის 13-ს

**ფაუსტ და ვალპურგიის ღამე**

---

## „მეოცნებე ნიამორები“

**წიგნი მესამე.**

შინაარსი:

გ. რობაქიძე—ვასაკა, ტ. ტაბიძე—ფალმან-ხათუნი, შ. ამირაჯიბი—მწვანე კაკალუ, ვ. გაფრინდაშვილი—ზამთრის დაისის გასვენება, კ. ნადირაძე—ყალბი ავტობიოგრაფია, ნ. მიწიშვილი—სამგლოვიარო მარში, რ. გვეტაძე—სევდის ფარმანდი, შ. კარმელი—ბოდლერის ოფორტი, ს. ცირეკიძე—მოზაიკის ღვთისმშობელი, ს. კლდიაშვილი—ევა ლაბარში, დია ჩიანელი—სევდიანი ფრაგმენტი, ვ. გაფრინდაშვილი—შენიშვნები ლირიკაზე, ს. ცირეკიძე—სათაური პოეზიაში და ლ. გუდიაშვილი—ყდა (ნიამორები)

რედაქტორი: ვალერიან გაფრინდაშვილი.

---

იანვარში გამოვა ყოველთვიური ჟურნალი

## „შვიდლოსანი“

მონაწილეობენ: შალვა ამირაჯიბი, ა. არსენიშვილი, შ. აფხაიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ლადო გუდიაშვილი, რ. გვეტაძე, ნიკოლაი ივერეინოვი. პაოლო იაშვილი, პავლე ინგოროყვა. შ. კარმელი. ს. კლდიაშვილი, გ. ლეონიძე, ნ. ლორთქიფანიძე. ნინა მაყაშვილი, არჩილ მიქაძე, ნ. მიწიშვილი, კოლაუ ნადირაძე, გრიგოლ რობაქიძე, სერგეი სუდეიკინი, გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, ი. ყიფიანი, სანდრო ცირეკიძე და ლელი ჯაფარიძე.

---



## ქიმერიონი

ქართველ მწერალთა კლუბი

(რუსთაველის პრ., 21, ყოფ. „ანონა“)

დღის 1 ლ საათიდან 5 დის

**სადილი**

უკრავს რუმინიული ორკესტრი ანგელესკოს ლოტბაროობით.

საღამო დაიწყება 10 ს. პროგრამის დაწყება 11 ს.

კონფერანსიე ნეჩაევი

იანვრის 13-ს საზეიმო მიგებება ახალ წლის ძველი სტილით.

მაგიდების დაკვეთა წინდაწინვე შეიძლება.

---

ახლო მომავალში იხსნება

## პირველი ქართული საბავშვო ბაღი

(ქ-ნ მონტესორის სისტემით.)

მიიღებიან ორივე სქესის ბავშვები 3-დან 7 წლამდის. ჩაწერა და ცნობების მიღება მარიამ ერისთავთან მამადავითის ქ. № 36. ტელეფ. 21—2ა

---

## დღეს კინო თეატრებში

კინო-თეატრი ოლოლას ქუჩა № 3.

ფილმა ბრანდიოზული დადგმა

## ფილანტროპი და მეზღვაური სამგალი

6 ნაწილად. ლუმის რომანის სიუჟეტზე.

**„გრაფ-მონ-კრისტო“**

ძმ. პატეს ატელიესი

---

**კინო პალასი**

ახალი გრანდიოზიული ისტორიული სურათი პომპეის ეპოქიდან

## იონა

კინოდრამა 6 ნაწილად

---

კინემო-მინიონი

11, 12 და 13 იანვარს

## ცხოვრების დაცინვა

მხატვრული-სალონის დრამა.

დასასრულს

**პერპი (პუმირი) გარრისონი**

კომედია 2 მოქ.

მზადდება დასადგმელად ინგლისის ცხოვრებიდან ახალი დრამა

**„პატიოსნებისა და დიდებისათვის“.**

---

**აპოლლო**

ხაუცხოვო პროგრამა

## მხიარული საპყრობილე

4 ნაწილად.

მონაწილეობენ სახელგანთქმულნი ევროპიული მსახიობნი.

**დასასრულ სანახაობა**

---

მიხეილის **ალკრე** პლეხანოვის ქუჩა, 91.

ერთი დღე-ღა დარჩა იანვრის 11-ს. განსაკუთრებული სურათი ინგლისის სინდიკატისა.

## ფოლადის საშინელებანი

5 აქტად.

სურათში მონაწილეობას ღებულობენ აეროპლანები და აგრეთვე ბევრი ზარბაზნები, დაზგები და სხვ.

პირველად თბილისში ფარსი

**„ქალთა მძულვარების კლუბი“.**

---

მიიღება ხელის მოწერა

**1920 წლისთვის**

დასურათებული ხაყმაწვილო ჟურნალი

## „ნაკადული“

(წელიწადი მეთექვსმეტე)

ჟურნალს სუბსიდია ეძლევა განათლების სამინისტროსაგან. გამოდის გაფართოებული პროგრამით საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

**მცირე წლოვანთა და მოზრდილთათვის**

ჟურნალი გამოვა: მცირე წლოვანთათვის თვეში ორჯერ.
„ „ მოზრდილთათვის „ ერთჯელ.

წლიურად ორივე გამოცემის ფასი 150 მან.

| | |
|---|---|
| ცალ-ცალკე | 85 „ |
| ნახვარი წლით | 90 „ |

მისამართი: თბილისი „ნაკადულის“ რედაქცია, რუსთაველის (ყოფილი გოლოვინის) პროსპექტისა და დავითის ქუჩის კუთხე, შემოსავლელი დავითის ქუჩიდან № 2 ტელეფონი № 7—56. 321 10—3

---

## მოითხოვეთ ყველგან

უმაღლეს ხარისხის

## კონიაკი და არაყი

## ი. მ. ლაზარევის

თბილისი კიროჩ. ქ. № 19. 305—20—15

---

## კაფე-რესტორანი „26 მაისი“

ამით ვაუწყებთ სიძველის მოყვარეთ, რომ კაფე-რესტორანში „26 მაისი“ სამშაბათს იანვრის 13 ს

**მიგებება ახალ-წლის**

(ძველი სტილით)

მენიუ: შემწვარი ორაგული, ზუთხი სალათით, შემწვარი გოჭი, ბატკანი სალათით, ნაღებით, ნაყინით, ხილი. ღვინო ლიკერის სხვა და მარკების.

მაგიდების დაკვეთა 4 სულისთვის წინათვე მიიღება. ფასი 100 მან.

ყოფილ აფიცერთა საზოგადოების გამგეობა.

---

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამგეობის მიერ იანვრის 26-ს „სტუდენტთა დღის“ აღსანიშნავად გამოცემულ იქნება ჟურნალი

## „ქართველი სტუდენტი“

ჟურნალის სარედაქციო კოლეგია სთხოვს ამხანაგებს მოაწოდონ წერილები, მოგონებანი და სხვა მასალები სტუდენტთა ცხოვრებიდან.

მასალები მიიღება მხოლოდ იანვრის 15-დე, შემდეგის მისამართით: სახელმწიფო უნივერსიტეტი—ჟურ. „ქართველ სტუდენტისათვის“, ან სტუდენტთა სასადილოში. სარედაქციო კოლეგია:

2703—4—2

---

ი. გრიშაშვილის რედაქტორობით გამოვიდა

## ცისკარი.

პოეზია:

ი. გრიშაშვილი—„ერთგვირგვინოსანს“.
ი. გრიშაშვილი—„ქორწილი ჩვენუბანში“.
ს. შანშიაშვილი—„მოღალატე ლეილა“.
კ. მაყაშვილი—„ფისოს“.
ს. აბაშელი—„მოქანცული თვალები“.
ს. ფაშალიშვილი—„თოვლში“.
ი. მჭედლიშვილი—„ქალაქი“.
კ. ჭიჭინაძე—„დალამება“.
მარიჯან—„ყავახანაში“.

ბელეტრისტიკა:

ნ. ლორთქიფანიძე—„გაათხოვეს“.
ნ. შიუკაშვილი—„დედის სურათი“.
ლ. მეტრეველი—„შემოდგომის ფოთლებიდან“.

კრიტიკა:

ივ. გომართელი—„გრიშაშვილის საიათნოვა“.
ვახტანგ კოტეტიშვილი—„აზიისკენ“.
მარუთა შუამდინარელი—„ახალი წიგნები 1919 წ.“

**ფასი 15 მან.**

---

## საქართვ. სატრანსპორტო საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს, რომ საზოგადოების აქციონერთა

## საზოგადო კრების

გაგრძელება გადადებულია და დანიშნულია შაბათს, იანვრის 17, საღამოს 7 საათზე, საურთიერთო ნდობის ბანკის ბინაზე (დამფუძნებელ კრების ქუჩა, № 6). 331 2—1

---

# საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარეს!

იანვრის 12-ს, ბრიტანეთის უმაღლესმა კომისარმა მისტერ ოლივერ უორდროპმა განუცხადა საქართველოს მთავრობას, რომ მან მიიღო ინგლისის მთავრობისგან შემდეგი ცნობა:

„ლორდმა კერზონმა ინგლისის სახელით, წინადადებით მიმართა მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს, რათა მან ფაქტიურათ იცნოს საქართველოს და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა. ლორდ კერზონის წინადადება „უმაღლეს საბჭოს მიერ ერთხმათ მიღებულ იქმნა“.

---

## საქართველოს დამოუკიდებლობა იცნეს, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

გუშინ შუადღისას საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიღო ცნობა, რომ ინგლისის წინადადებით, კონფერენციის უმაღლესმა საბჭომ ერთხმად იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა.

ასი წლის მონობის შემდგომ აღდგენილი ჩვენი თავისუფალი არსებობა ამიერიდან ევროპის და ამერიკის დასტურს ღებულობს და ჩვენი რესპუბლიკაც სწორუფლებიანი წევრი ხდება კულტურულ კაცობრიობის ოჯახში.

გაუმარჯოს საქართველოს! გაუმარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დ ღ ე ს:

**ანტანტის უმაღლესმა საბჭომ საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა ფაქტიურად აღიარა.**

ჯოს ინგლისს და მის მოკავშირეთ!

მოეღო ბოლო საქართველოს სახელმწიფოებრივობის გამოურკვევლობას. მოეღო ბოლო ქართველი ხალხის ნერვიულ მოლოდინს და შიშს.

საქართველოს საკითხის გარშემო გაისკვნა მძიმე კვანძი, რომლის გახსნას ევროპა დიდის სიფრთხილით აპირობდა, დღეს ეს მძიმე კვანძი უკვე გაიხსნა, და მთელი მსოფლიოს წინაშე საქართველოს დამოუკიდებლობა ფაქტად იქცა.

მიებარა წარსულს ასი წლის მონობა, ევროპასთან დამოკიდებულობის პირველი სიძნელენი და მწარე გაუგებრობანი, ევროპის ქვეყნების რყევა ჩვენი დამოუკიდებლობის საქმეში და რესპუბლიკის მცხოვრებთა შიში, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა არ იქნება ცნობილი. ყოველივე ეს წარსულია, ჩვენი მატიანეს ერთი ფურცელი. საქართველოს თავისუფალმა სახელმწიფოებრივობამ მტკიცედ შემოდგა ფეხი ჩვენს ცხოვრებაში და ქართველი ხალხი მოწიწებით ეგებება ამ უდიდეს დღესასწაულს.

ევროპის ქვეყნებს არ შეეძლებოდა, არ ეცნოთ დამოუკიდებელი არსებობა იმ ქვეყნის, რომელსაც მრავალ საუკუნოვანი სახელმწიფოებრივი ისტორია ჰქონდა და ამ მსოფლიო ომითა და რევოლიუციებით გამოწვეულს საშინელ პირობებშიაც თავისუფალი ცხოვრების შენების წარმოებას ახერხებდა.

მსოფლიო სამსჯავროზე საქართველოს უფლებების უარყოფა არ შეიძლებოდა, მაგრამ საქართველოს საკითხს მძიმე ლოდათ აწვა რუსეთთან საუკუნის კავშირი, და მით შექმნილ ურთიერთობის ნაშთები. რუსეთის ნანგრევებიდან საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების შემოფარგვლა და შემოხაზვა დიდს შრომას და დროს მოითხოვდა. მაგრამ მიუხედავად მრავალი სიძნელისა, ქართველმა ხალხმა შესძლო თავის დამოუკიდებელი ცხოვრების ფაქტიური დამყარება და დღეს ევროპამაც დაადასტურა ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებელი არსებობა.

დღეიდან ჩვენი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა მეტის-სიმტკიცით და სიბეჯითით იწარმოებს.

რესპუბლიკის მცხოვრებთა შემოქმედებითი მუშაობა სახელმწიფოებრივი სიმკვიდრის შესაქმნელად ახალი ძალებით შეიმოსება. მტკიცე იმედი სასურველი მომავლისა იქნება წინამძღვარი ყოველივე ჩვენი მუშაობისა. ამიერიდან საქართველო, როგორც მთლიანი ერთეული და ყოველივე მისი ნაწილი საქართველოს კეთილდღეობისთვის იმუშავებს, მის საბედნიერო მომავლის გასაშენებლად იშრომებს.

გაუმარჯოს აღდგენილ თავისუფლებას!

გაუმარჯოს საქართველოს რესპუბლიკას!

გაუმარჯოს ინგლისს და მის მოკავშირეთ!

## საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების დღესასწაული

საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის დიადი აქტი პირველად მოიტანა მთავრობის თავმჯდომარეს ბ-ნ ჟორდანიასთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან ჩვენი სამშობლოს დიადმა გუშაგმა ევროპის უდიდეს ერის წარმომადგენელმა მისტერ ოლივერ უორდროპმა და მიულოცა მათ ამ დიად ისტორიულ აქტის აღსრულება. მთავრობის თავმჯდომარემ ბ. ნოე ჟორდანიამ და გარეშე საქმეთა მინისტრმა ბ-ნ გეგეჭკორმა მადლობა მოახსენეს მოლოცვისათვის მისტერ ოლივერ უორდროპს.

**ქალაქის ქუჩებზე.**

ელვის სისწრაფით მოედო ეს სასიხარულო ამბავი მთელ ქალაქს და მთელი სახლები და დაწესებულებანი ეროვნულ ალმებით მოირთო. არსენალის მთიდან ზარბაზნების ქუხილი ასტყდა, სამხედრო ტაძარში გადახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი.

**სასახლესთან.**

შუადღის 1 საათზე სასახლის წინ მოვიდა ეროვნულ დროშებით საქართველოს რესპუბლიკის მასწავლებელთა ყრილობის წევრნი განათლების მინისტრის ბ-ნ ნ. რამიშვილის მეთაურობით. მინისტრი შევიდა სასახლეში და აივნიდან მხურვალე სიტყვით მიმართა შეკრებილ მასწავლებელთ და გაუთვალისწინა მათ დიდი როლი ამ დიად დღესასწაულის დღეს. ამ დროსთვის სასახლის წინ თავი მოიყარა აუარებელმა ხალხმა. რამიშვილის შემდეგ დამფუძნებელ კრების სახელით სიტყვით მიმართა ბ-ნ ალ. ლომთათიძემ და დაუსურათა ხალხს დემოკრატიის როლი ამ დღესასწაულში. ხალხის ენტუზიაზმს საზღვარი აღარ ჰქონდა როდესაც აივანზე გამოჩნდა მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია. გაბრწყინვებული სახით და თვალცრემლიანმა მიულოცა თავისუფალ საქართველოს შვილთ საქართველოს თავისუფლების ცნობა. ბ-ნ ჟორდანიას შემდეგ ხალხის თხოვნით აივანზე გამოვიდა ჩვენი დიპლომატიის სასიქადულო მწარმოებელი ევროპაში ბ-ნი აკაკი ჩხენკელი, რომელსაც ხალხი მქუხარე ტაშით შეეგება. ბ. ჩხენკელმა მიულოცა დღესასწაული და უსურვა ქართველ ერს დღეგრძელობა ამ დიად აქტის გამოცხადების შემდეგ. ბ. ჩხენკელის შემდეგ აივანზე გამოჩნდა ხალხის სურვილით მ. ვ. ჯუღელი, რომელმაც მიულოცა ხალხს დიადი დღესასწაული და იმედი გამოსთქვა, რომ ყველა წრის ქართველი დღეიდან უფრო მედგრად და გაორკეცებულ ძალით შეებრძოლება მტერს.

შემდეგ ამისა სიტყვები წარმოსთქვეს ყველა ფრაქციათა წარმომადგენლებმა. ამის შემდეგ აზღავებული ხალხი გაემართა ანტანტის უმაღლეს წარმომადგენელ გენ. ჰასკელთან მადლობის მოსახსენებლად.

ნაშუადღევის 3 საათიდან სასახლიდან კვლავ დაიწყო მანიფესტაციები და სიმღერა-ღრეობა,

მთელი ქალაქი გაჩირაღდნებული იყო ღამე და შუშხუნა მაშხალები იყო მოწყობილი არსენალის ბინიდან.

**ჩვენი გაზეთის რედაქციაში.**

დილიდანვე ჩვენ რედაქციაში მრავალმა მომლოცავმა გვინახულა და საქართველოს უზენაესი დღესასწაული მოგვილოცა მათ შორის იყვნენ. ვასილ ბარნოვი, მოსე ჯანაშვილი, ია კარგარეთელი, ნიკო თავდგირიძე, სიმონ ესაძე და სხვ. სხ.

**მფრინავი ფურცლები და მისალოცი დეპეშები.**

ჩვენმა გაზეთმა სასწრაფოდ გამოსცა მფრინავი ფურცლები, ხოლო პროვინციებში მისალოცი დეპეშებით ჩვენს მეგობართ და ქართველ ერს მიულოცა უზენაესი დღესასწაული.

## პ რ ე ს ს ა

**სომხები და ამიერ-კავკასიის შეთანხმების საკითხი**

„არაჩ“ 3 იანვრის მეთაურ წერილში ეხება რა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ურთიერთშორის დამოკიდებულებათა საკითხს, სხვათა შორის, სწერს შემდეგს:

აზერბაიჯანელებს უნდათ რომ დაუმეგობრდნენ სომხეთს და საკუთრებად სთვლიან თითქმის სომხეთის ნახევარს: ყარაბაღს, ზანგეზურს, ნახჩევანს და შარურს.

ქართველებს სურთ დამეგობრება სომხეთთან და მოითხოვენ ლორს და ახალქალაქს, უკანასკნელიდან უკვე იწვევენ ჯარის კაცებს. ორივენი მჭერმეტყველობენ სამივე რესპუბლიკების კონფედერაციის შესახებ, მაგრამ არ ამბობენ თუ ვინ არის ეს მესამე, რომლის სახელი არსებობს მათთვის, მაგრამ თვით კი არ არის. რომელია, დაბოლოს, ჩვენი კეთილი მეზობლების აზრით, ის სომხეთი, რომელთანაც ისინი აგრე რიგად ისწრაფიან კონფედერაციის შეკვრას?

ჩამოართვით მას ყარაბაღი და ახალქალაქი, წაართვით ნახიჩევანი, შარური და ლორი და რა დარჩება მას ხელში ნამდვილად? ყარსის ოლქი და არარატის ველი სევანის ტბით. ნუ თუ ჩვენი მეზობლები, მართლა იმ ზომამდე გულუბრყვილონი არიან, რომ ჰფიქრობენ ჩვენს გაბედნიერებას ჩვენთან კონფედერაციით შეკვრის პატივდებით იმ დროს, როდესაც განზრახული აქვთ წართმევა იმ მიწებისა, ურომლისოდ სომხეთი დარჩება დაუმთავრებელ შენობად.

ბევრი პოლიტიკური უკუღმართობა გვინახავს ამ უკანასკნელ მახინჯ წლების განმავლობაში, მაგრამ ამ ზომამდე უკუღმართობა და—დაუმატებთ პირდაპირ—ამდენი სიყალბე და უსამართლობა—შესაძლებელია წარმოვიდგინოთ მხოლოდ ამიერ-კავკასიის სინამდვილეში, სადაც მეფობს ზნეობრივი ხიტლანქე და ველურობა. უნდათ შეკრან კონფედერაციით იმ სახელმწიფოს, რომლის არსებობის ელემენტარულ საფუძვლების ცნობაც კი გზარებათ.

ვფიქრობთ რომ დროა ბოლო მოეღოს აზიურ დიპლომატობას; საჭიროა გაიხსნას ყველა ფრჩხილები და ითქვას ის, რასაც ჰფიქრობენ. ამ გვარად უფრო ადვილად შეიძლება განზრახულ მიზნების მიღწევა“.

რამდენათ მტკიცეა შეთანხმება სომხეთთან და რამდენათ მართლა ყიზილბაშურია დაშნაკელების პოლიტიკა ამას ამტკიცებდა „არაჩ“-ს ეს წერილი.

საკმაო იყო ჩრდილოეთიდან დაებერა სხვა ქარს, რომ დაშნაკელი ლეგრწამები უკვე იღუნებიან და ახალ პოლიტიკისთვის ემზადებიან.

განა „არაჩ“-მა არ იცის. რომელ სომხეთზე ლაპარაკობენ საქართველო და აზერბაიჯანი, განა ლორის და ახალ ქალაქის რაიონები მკვიდრი სომხეთია, ურომლისოთაც არ შეიძლება სომხეთის წარმოდგენა?..

სანამ შეთანხმებაზე ლაპარაკი იქნებოდა, მანამდის სომხებმა იცოდნენ, რომ მათი პრეტენზიები ლორზე და ახალ-ქალაქზე მხოლოდ პრეტენზიებად დარჩებოდნენ, მაგრამ მაინც სასურველათ სცვნეს შეთანხმება, თუ სხვა რამ იდუმალი სულის-კვეთება არ ალაპარაკებს „არაჩს“ დღეს გარემოება სრულიადაც არ გამოცვლილა, და გაუგებარია დაშნაკელების, მუხანათური უკან დახევა...

## ბოლშევიკების მეორე წინადადება

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო განყოფილებისაგან.**

**საბჭოთა მთავრობის მეორე მომართვა.**

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. გეგეჭკორმა რუსეთის საგარეო საქმეთა კომისრის ჩიჩერინისგან მიიღო შემდეგი რადიო ტელეგრამა:

„თბილისი. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს.

იანვრის 2 1920 წელი. რუსეთის მუშათა და გლეხთა რაინდულ საშუალებებით შექმნილ წითელმა ლაშქარმა შემუსრა რა იუდენიჩის და კოლჩაკის რაზმები, სასიკვდილო ლახვარი იშიშვლა მეფის გენერალ დენიკინის თეთრგვარდიელ ბანდების წინააღმდეგ, რომელიც უწესოდ იხევს დონის როსტოვისაკენ. ამით ჩვენი ლაშქარი უკანასკნელ ლახვარს სცემს მონარქიულ კონტრრევოლიუციას. რუსეთის მუშათა მთავრობა მიმართავს საქართველოს წინადადებით დაუყოვნებლივ შეუდგეს საბჭოთა მთავრობასთან მოლაპარაკების დაწყებას, სამხედრო კავშირის შესაქმნელად, რომლის მიზანი იქნება სამხრეთ რუსეთის თეთრგვარდიელთა ლაშქრის მოსპობა.

საბჭოთა მთავრობა თავის მოვალეობად სთვლის აღნიშნოს, რომ სამხრეთის კონტრ რევოლიუცია იყო და არის დაუძინებელი მტერი არა მარტო რუსეთის საბჭოთა მთავრობის არამედ ყველა პატარა ერების, რომლებიც ყოფილ რუსეთის იმპერიაში შედიოდენ.

დენიკინი მტერია არა მარტო რუსეთის მუშათა და გლეხთა არამედ საქართველოს და აზერბაიჯანის მუშათა და გლეხებისაც. ჩვენ გვწამს რომ საქართველოს და აზერბაიჯანის გლეხობა და მუშები დენიკინს დაუძინებელ მტრად რაცხვენ და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ისინი მოუთმენლად ელიან იმ დღეს, როდესაც მოისპობა საბჭოთა რუსეთსა და მათ შორის ჩაჩხირული თეთრგვარდიელთა ბრბო და აღსდგება კავშირი და მიმოსვლა ძველ სახელმწიფოს საზღვრებზე მცხოვრებ ერთა შორის. უნდა დავაჩქაროთ ეს მომენტი. საჭიროა რომ რუსეთის მუშათა და გლეხთა მახვილს საქართველოს და აზერბაიჯანის მახვილიც შეუერთდეს. ჩვენ მოუწოდებთ, ვიდრე კიდევ დროა საქართველოსა და მის ერს იწყონ ბრძოლა დენიკინის წინაალმდეგ. საქართველოს სახელმწიფოს და მის მშრომელ კლასების შექმნილ პოლიტიკურ ეკონომიურ პირობების სწორე გაგებამ უნდა უკარნახონ საქართველოს ჩვენს წინადადებაზე პასუხის გაცემა.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი **გეორგი ჩიჩერინი.**

## საქართველოს პასუხი

საბჭოთა მთავრობის წინადადების საპასუხოდ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა **ევგ. გეგეჭკორმა** შემდეგი რადიოგრამა გაუგზავნა ნარკომ ჩიჩერინს.

**მოსკოვი. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს.**

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, თქვენი წინადადების საპასუხოთ, რომ ორივე მხარის სარდლობა შეთანხმდეს „დობრო-არმიასთან“ საბრძოლველად, საჭიროდ სთვლის განაცხადოს შემდეგი: ქართველი ერი, ემყარება რა ყოველ დემოკრატიისათვის ერთა თვითგამორკვევის ურყევ იდეაზედ, ხალხის მიერ თავის ნების თავისუფალ გამოხატვის შედეგში, ამყარებს თავის ცხოვრებას დამოუკიდებელ დემოკრატიულ სახელმწიფოებრიობის პრინციპებზედ.

ქართველ ერს, რომელიც ერთს წუთსაც კი არ სცდება მოხალისეთა არმიის ნამდვილ განზრახვებში, თავის შეიარაღებულ ძალებით არა ერთხელ უკუ უქცევია მოხალისეთა არმიის შემოტევანი, როცა მას განზრახვა ჰქონია შემოჰრილიყო მის საზღვრებში და სისხლში დაეხრჩო, საქართველოს ერის თავისუფლება და მისი რევოლუციონური მონაპოვარნი.

ქართველ ერს დღესაც დაძაგრული ჰყავს თავისი ძალები რამოდენიმე ფრონტზედ და ყოველ წუთს მზათ არის პასუხი გასცეს ყოველ გალაშქრებას საქართველოს რესპუბლიკის საზღვრების და მის სუვერენულ უფლებების წინააღმდეგ.

ქართველი ერი, რუსეთის სამოქალაქო ომის დასაწყისიდანვე მტკიცე და ურყევათ წინააღმდეგი იყო რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევისა.

მტკიცე გარდაწყვეტილება დაცული იყოს სრული ნეიტრალიტეტი ამ ბრძოლაში, ნათლად არის ასახული საქართველოს ხალხის მიერ თავისუფალ გამოთქმულ ნებაში, რადგან მას არ სურს დაცრიცოს თავისი მცირე ძალები და არ სურს რომ თავისი სისხლი, რესპუბლიკის საზღვრების გარეშე დაღვაროს.

იმავე დროს ქართველი ხალხის მონაწილეობა რუსეთის სამოქალაქო ომში დაფასებული იქნება, როგორც ჩარევა რუსეთის შინაურ საქმეებში უცხო არა რუსს ძალებისა, რაც მხოლოდ შოვინისტურ ელემენტებს შეუწყობდა ხელს და ჩაშლიდა მეგობრობას და კეთილმეზობლობას ამ ხალხთა შორის.

რუსეთის სამოქალაქო ომში ჩარევა ქართველ ხალხს ჩააყენებდა დიდ სამხედრო გაჭირვებაში, რესპუბლიკის შინაურ ცხოვრებას არევდა და მიიყვანდა ანარქიამდი, რაც ბოლოს ძირს გამოუთხრიდა ხალხის კეთილდღეობას.

გამოდის რა აქედან საქართველოს მთავრობა რუსეთის სამოქალაქო ომში შეიარაღებულ ძალებით ვერ მიიღებს მონაწილეობას.

საქართველოს მთავრობა თავის საგარეო პოლიტიკაში ყოველთვის ხელმძღვანელობდა სურვილით რომ ნორმალური განწყობილება შეექმნა ყველა სახელმწიფოებთან და მათ შორის რუსეთთანაც, რომლის ცენტრებშიაც უკანასკნელ დრომდი მას ჰყავდა თავისი დიპლომატიური წარმომადგენლები. მთავრობა გამოსთქვამს იმედს, რომ ბოლოს და ბოლოს ორივე სახელმწიფო ერთმანეთთან მოლაპარაკების შემდეგ მიაღწევენ ურთიერთშორის მშვიდობიან კეთილმეზობლურ განწყობილებას.

გარეშე საქ. მინისტრი **გეგეჭკორი.**

# უ ც ხ ო ე თ ი

## აზერბაიჯანი.

**აზერბაიჯანის დიპლომატიურ მისსიის გამგზავრება სპარსეთში**

აზერბაიჯანის დიპლომატიური მისსია გაემგზავრა სპარსეთში ზიატ-ხანზიატხანოვის მეთაურობით, მდივნად არის ალქპერ სალხოვი. დელეგაცია გაემგზავრა იანვრის 6-ს თეირანში გემ „თამარა“-თი.

## მ თ ა

**პეტროვსკში.**

ინზელში დაიწყო ნაწილობრივი ევაკუაცია დაწესებულების. პეტროვსკიდან ჩამოსულები გადმოგვცემენ რომ ადგილობრივ მმართველობით ჩაქრობილ ყოფილა ბოლშევიკური ამბოხება.

## ს ო მ ხ ე თ ი

**მილიციის კურსები.**

შინაგან საქმეთა სამინისტრო იანვრის 25-იდან ერევანში მილიციონერთათვის და მილიციაში სამსახურის მოსურნე პირთათვის კურსებს აარსებს.

კურსებზე ასწავლიან შემდეგ საგნებს: სახელმწიფო წყობილება, სამოქალაქო უფლება, მოკლედ კანონ-მეცნიერება, მილიციის უფლება, საქმის წარმოება, მილიციის წესდება. მოკლე ანატომია და სამხედრო ვარჯიშობა. კურსებს მეთაურობს ზ. ბაგრევ ნდიანი.

**მაჰმადიანთა გადასახლება.**

მზრუნველობის სამინისტროს დახმარებით ქრისტეშობისთვის 22-დან იანვრის პირველამდე სომხეთიდან აზერბაიჯანში წასულა 1000 მაჰმადიანი. ყველა მათ სომხეთის საზღვრებამდე სამყოფი პური მიეცათ,

**ეკატერინოდარის სომხების გიმნაზიის დაკეტვა.**

ყუბანის მთავრობის დადგენილებით ეკატერინოდარის სომხთა გიმნაზია ძალით დაუცლევინებიათ, რის გამოც 600 მოსწავლე ახალგაზრდობა დარჩენილია გარედ. ამის გამო ეკატერინოდარის ყველა სომხურ ორგანიზაციათა საერთო კრებას წარუდგენია წერილობითი დასაბუთებული პროტესტი საგანგებო დელეგაციის საშუალებით რადას თავმჯდომარისათვის, მთავრობისათვის და ატამანისათვის. („არაჩ“).

## რ უ ს ე თ ი.

**ბოლშევიკების ცნობები.**

(საქ. დეპ. სააგ.)

დღევანდელი მოსკოვის გაზეთები ეხებიან კოლჩაკ-დენიკინის დამარცხებას. გაზ. „პრავდა“ სწერს: ის რასაც დღეს რუსეთის კონტრ-რევოლიუცია განიცდის არ არის მხოლოდ დამარცხება, ის კატასტროფაა, დაღუპვა და სრული განადგურება არის. დასავლეთიდან თეთრებმა—პოლონელებმა შემოგვიტიეს. მობრძანდით ბატონო პოლონეთის ლეგიონერებო. საბჭოთა რუსეთის კონცენტრაციული ყაზარმები ერთობ ვრცელია. „პრავდა“ თავის მეორე წერილში მოუწოდებს რუსეთის პროლეტარიატს ახლა მთელის ენერგიით შეებრძოლოს საშინელ მოუწყობლობას: „შიმშილს, სიცივეს და გადამდებ სენებს“. ამავე საგანზე სწერს „იზვესტიაში“ კამენევიც. ადარებს რა ერთმანეთს პეტერბურგის და ნოვოჩერკასკის დაცვას, პოდვოისკი სწერს: „როდესაც პეტროგრადს საფრთხე მოელოდა ის მიუვალ ციხედ გადაიქცა: მუშები, ქალები, ბავშვები ყველანი ბრძოლის ველზე მიისწრაფოდენ. რას ვხედავთ ნოვოჩერკასკში. ქალაქი ცარიელია, ბურჟუაზიამ ჩვეულებისამებრ დაივიწყა „მეფეც და სამშობლოც“ და გაიქცა ქალაქიდან თავისი ნაძარცვიანად“.

**კოლჩაკის დატყვევება.**

შეუმოწმებელი ცნობების მიხედვით, რომელიც დაჭერილია პირდაპირი მავთულით ლაპარაკის დროს, ქ. ირკუტსკი აჯანყებულთა ხელშია. აჯანყებას ხელმძღვანელობს კალაშნიკოვი. თითონ კოლჩაკი მთელის თავისი შტაბითა და ოქროს ფონდით დატყვევებულ იქმნა თავისი ჯარის კაცების მიერ“.

**სამხედრო ცნობა.** იან. 10. ჩრდილოეთ-დვინის რაიონში მზვერავთა მოქმედება სწარმოებს. ლეპელის მიმართულებით, მდინარე ფრის სამხრეთით სასტიკი ომი სწარმოებს. იაკობშტატისა და დვინსკის მიმართულებით ცხარე შეტაკებებია ცვალებადი ხასიათისა.

მოსკოვი. იანვრის 11. ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი.

**მოსკოვი.** იანვრის 10. ყველა პროლეტარულ ორგანიზაციათ კრებამ სხვა და სხვა სოციალისტურ პარტიათა მონაწილეობით მისასალმებელი მოწოდებით მიმართა ევროპის პროლეტარიატს. ხარკოვის მუშები იკვლევენ და არკვევენ დენიკინის მართველობის დროს ჩადენილ ბოროტმოქმედებებს. გამოირკვა მრავალგვარი სიმხეცეები: პოგრომები, ძარცვა გლეჯა, ლოთობა, ქურდობა და სხვა. სპეციალურად შესდგა კომისია, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ სოციალისტური პარტიები, ექიმები, დიპლომატიური წარმომადგენლები. კომისია იღებს მიწიდან და ამოწმებს დენიკინის მოხელეთა მიერ ნაწამებ გვამებს. პირველი დღეების სანახაობა აუწერელ საზიზღრობას წარმოადგენდა. აღმოჩნდა ათასობით გვამები, რომელნიც სიკვდილის წინ აწამებიათ.

**სამხედრო ცნობები.** იან.... ჩრდილო-დვინის მიმართულებით მზვერავთა მოქმედებაა. მზეცის რაიონში და იაკობშტადის მიმართულებით მთელ ფრონტზე სასტიკი ბრძოლაა. მარცხენა ფრონტზე კოლჩაკის ტბის აღმოსავლეთით 10 ვერ. უკან დავიხიეთ. დვინის მიმართულებით ბრძოლა ცვალებადია. მოზირის რაიონში ჩვენი ჯარი დაბა პარიჩს სამხრეთ აღმოსავლეთიდან უტევს. უმანის რაიონში ბრძოლით ავიღეთ სადგ. ბრისტინოვა. ქ. ნოვომირგოროდის რაიონში ჩვენმა ჯარმა აიღო სად. ტოპილნო, დაბა შპოლა და ქალაქი ნოვომირგოროდი. ნოვოჩერკასკის რაიონში 8—9 იანვარს, ღამით ბუდენოის ცხენოსანმა ჯარმა სისხლის-მღვრელ ბრძოლის შემდეგ დაამარცხა მოწინააღმდეგე, შეიპყრო როსტოვს, ნახიჩევანში და ეს ქალაქები აიღო. მოწინააღმდეგემ გაშმაგებით შემოუტია, მაგრამ უკუქცეულ იქმნა. ბრძოლა გრძელდება. კრასნოიარსკის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა სად. ჯებილი აიღო.

კუნძულ იავაზე ვულკანმა ამოხეთქა. ლავამ 20 სოფელი გაანადგურა, 20,000 მცხოვრებელი დაიღუპა.

**სამხედრო ცნობა მოხალისეთა ჯარისა** იანვრის 6. ასტრახანის მიმართულებით ცხენოსანი რაზმი წითელი არმიისა, რომელმაც იერიში აიტანა. რაიგოროდის მხრიდან უკუგდებულ იქმნა. კამიშინის მიმართულებით ჩვენი ჯარი განაგრძობს წინა განზრახული მიზნით სამხრეთისაკენ გადაჯგუფებას.

**სამხედრო ცნობა მოხალისეთა ჯარისა** იანვრის 7. ცარიცინის მიმართულებით ჩვენი ჯარის გადაჯგუფება გრძელდება. სადგურ აბგარენოვოსთან მტრის ჯარი უკუგდებულ იქმნა. ნოვოჩერკასკის რაიონში სასტიკი ომი სწარმოებს. სხვაგან სიწყნარეა.

**ნიკოლაევის რადიო-სადგური.**

სამხედრო ცნობა მოხალისეთა ჯარისა იანვ. 4. კამიშინის მიმართულებით ჩვენი ჯარი, წინასწარ განზრახული მიზნით, თავს იყრის ახალ პოზიციებზე ცარიცინის სამხრეთით. მდინარე დონის მარჯვენა ნაპირზე ცარიცინ-ლიხაიას რაიონში მზვერავთა მოქმედება სწარმოებს. ლუგანსკის მიმართულებით, სასტიკი ბრძოლის შემდეგ (სადაც დამარცხებული იქმნა მე 16 ქვეითი დივიზია საბჭოთა ჯარის. ჩვენმა ლაშქარმა დაიხია გადაჯგუფების მიზნით ახალ პოზიციებისაკენ. ერკასკის რაიონში ბრძოლა კორიტოვკა—ზნამენკას რაიონში სწარმოებს. დანარჩენ რაიონებში სიწყნარეა.

**სამხრეთ რუსეთში.**

სამხრეთ რუსეთიდან ეხლა ხანს ჩამოსული პირი გადმოგვცემს: მდგომარეობა დენიკინის სამფლობელოში ფრიად სერიოზულია. მთელი ბურჟუაზია სამხრეთ რუსეთიდან იხიზნება, თვით არ იციან სადეთ. უმეტესობა ბათუმისაკენ აპირებს, მაგრამ ხელს უშლის ის გარემოება, რომ ბათუმში უნებართვოდ არ უშვებენ და ნებართვებს კი ინგლისის სარდლობა მათ არ აძლევს. ბოლო ხანებში გავრცელდა ხმები რომ საქართველოში არა მკვიდრ მოქალაქეთ არ უშვებენო. ეს გარემოება მეტად აფიქრებს გასაქცევად მომზადებულ რუსებს. ბოლო ხანებში გავრცელდა ყიდვა გაყიდვა საქართველოს მკვიდრობის დამამტკიცებელ ყალბ მოწმობებისა.

„როდესაც მე წამოვედი მაშინ ტაგანროგი არ იყო აღებული და ადვილი წარმოსადგენია თუ როგორ მდგომარეობაში იქნება ეხლა ეს უბინაო მომთაბარე რუსები“. დაუმატა ჩვენმა მოსაუბრემ. მის რუსეთიდან გამოსვლის დროს ბინებზე ფასები საშინლად იყო აწეული, გამოქცეულები ერთ ოთახში იხდიდნენ დღეში 3000 მანეთს და მეტს. წამოსვლის დროს ქართულ და ამიერ-კავკასიის ფულში თითქმის ერთი ორად აძლევდა დონის დონის ფულს მაგრამ ძნელი საშოვარი იყო რადგან ბაზარზე გამოსაცვლელად განზრახულთ თითქმის სულ შეისყიდეს ჩვენი ბონები.

## ი ნ გ ლ ი ს ი

**ინგლისის გეგმა სპარსეთში.**

ინგლისის გაზეთი „ნიუ-სტეტ“-ის ერთ-ერთ № ში მოთავსებულია წერილი რომელშიაც ირჩევა ინგლისელთა მომავალი პოლიტიკის საკითხი სპარსეთში. გაზეთის აზრით სპარსეთის ხალხის უმრავლესობისთვის დღემდე გაურკვეველი იყო ინგლის-სპარსეთის შორის დადებული ხელშეკრულობა, მაგრამ დღეს თან-და-თან ნათელი გახდა სპარსეთის ხალხისთვის, რომ ეს ხელშეკრულობა ბევრისთვის მისაღები და სასარგებლოა. ამ მნიშვნელოვან აქტს, ზოგიერთნი მეტს აფასებენ; მათი აზრით სპარსეთის ეკონომიურ აღორძინებისათვის საძირკველი იქნება ერთი მხრით ეს ხელშეკრულობა, მეორე მხრით კი სპარსეთს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუძლიან დიდი თავდაცვის გარანტია დაამყაროს ამაზე, რადგან იგი რუსეთის რევოლიუციის შემდეგ თავისი სამხედრო ძალებით საგრძნობლად დასუსტდა. ინგლისთან ხელ-შეკრულობის დადებით სპარსელებს შეუძლიანთ ავღანის და ოსმალეთის თავდასხმისაგან დაიცვან თავი. სპარსეთის ინტერესების დღეს ძალიან შეესაბამება ინგლისის ინტერესებს და ინგლისის პოლიტიკა სრულიადაც არ არის მომასწავებელი იმის, რომ ინგლისს ჰსურს თავის ჰეგემონიის გამეფება სპარსეთში.

ინგლისის ერთ-ერთ უმთავრეს საგანს შეადგენს, სპარსეთში რკინის გზის ლიანდაგის გაფართოვება. ჯერ ისევ ომის დროს, მესოპოტამიაში როდესაც მოქმედობდა ინგლისელების არმია—ბაღდადში, სპარსეთის საზღვართან ხანეკენთან, და შემდეგ ხანეკენიდან შიგნით სპარსეთში ქერამან შაჰამდის, თვით ბელუჯისტანამდის გაყვანილ იქმნა რკინის გზა. სპარსეთმა დაიჭირა კავშირი თავის სრუტეებთან ადგილი და როდესაც დამსკეფრატთანაც გატარებული იქნება რკინის გზის ხაზი—სპარსეთს მაშინ გზა გაეხსნება თვით ხმელთა შუა ზღვამდე. რკინის გზის ხაზების გაფართოვება, მარტო ამით არ ამოიწურება. სტისტანიდან ერთი რკინის ხაზი კიდევ გაყვანილი იქნება წასრაბაბიდან საზღვარ მებდამდის.

როდესაც თეირანი შეერთებული იქნება მეჩედთან, მაშინ სპარსეთი დაიჭერს საუკეთესო ადგილს როგორც სტრატეგიის, ისე ვაჭრობის მხრივ.

განზრახვაა აგრეთვე რკინის გზის ხაზი შეუერთონ სპარსეთს კასპიის გადაღმასაც კრასნოვოდსკიდან—მერვზიმერვიდან—სამარყანდის, ასეთივე ხაზები იქნება გაწეული მეზედიდან კასპიის ზღვამდის.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ინგლისი თანახმაა იქონიოს სპარსეთში მხოლოდ პატარა სამხედრო ფლოტილია. სპარსეთს სრულიად თავისუფლად შეუძლიან აწარმოოს თავისი ვაჭრობა კასპიის ზღვაზე, ამასთანავე ენზელი სპარსეთისთვის დარჩება ისევ მთავარ ნავთ სადგურად.

დღემდის სპარსეთის ფინანსიური მდგომარეობა ქაოტიური იყო, მაგრამ ახლო მომავალში ეს მდგომარეობა ისე გამოსწორდება რომ ყველა საჭირო რეფორმებს ფინანსების მხრივ იგი გაატარებს სრულიად უმტკივნეულად.

## ირლანდია

**ირლანდიის ავტონომია**

ლლოიდ ჯორჯის სიტყვას ირლანდიის ავტონომიის შესახებ აღტაცებით არჩევენ პრესაში; ყველანი იმ აზრისა არიან, რომ იგია ერთად ერთი გულწრფელი ცდა, რომელმაც უნდა მოუღოს ბოლო „ძველ ოჯახურ დავებს“, როგორც ეს სთქვა მინისტრთა თავმჯდომარემ.

მთელი პრესა გამოსთქვამს იმედს, რომ ეს პროექტი გაიმარჯვებს, მიუხედავად იმ საშიშროებისა, რომელსაც უქადიან ამ პროექტს ირლანდიის სხვა და სხვა გვარი ელემენტები.

## ბულგარეთი

**საბერძნეთი და ბულგარეთი.**

ბულგარეთის მინისტრთა თავმჯდომარემ სტამბულიევსკიმ მიმართა ვენიზელოსს წერილით, რომელშიც აცხადებს სურვილს საბერძნეთისა და ბულგარეთის შორის მშვიდობიანობის და მეგობრული განწყობილობის დამყარების შესახებ. ბულგარიის მინისტრთა თავმჯდომარე აღნიშნავს თავის წერილში, რომ ამგვარ დამოკიდებულობის დამყარებისათვის საჭიროა, რომ საბერძნეთმა რამდენიმე დათმობები მოახდინოს, უფრო ფრაკიის საკითხში. ვენიზელოსს სტამბოლიევსკის წერილი უპასუხოდ არ დაუტოვებია, მხოლოდ რა შინაარსისაა ეს პასუხი ცნობილი არ არის. ცხადია მხოლოდ ის, რომ ამ ჟამად მათ მიერ ურთიერთის ნახვა შეუძლებელია. („მონინგ. პოსტი“)

## იტალია

**დემონსტრაცია იტალიის პარლამენტში.**

იტალიის პარლამენტის გახსნის დღეს მოხდა დიდი არეულობა: მეფის მიერ სეფე-სიტყვის წარმოთქმის დროს, სოციალისტებმა და რესპუბლიკანელებმა „გაუმარჯოს სოციალიზმს“ ძახილით დასტოვეს დარბაზი, რის შემდეგად ქუჩაში მოხდა ჩხუბი, სადაც სცემეს რამდენიმე სოციალისტ-დეპუტატებს. ნიშნად პროტესტისა რამდენიმე დღეს არ მუშაობდენ მეეტლენი, ქარხანათა მთელის მუშები და ტრამვაის მოსამსახურენი. („არაჩ“)

## თურანი

**ქიაზიმ-ბეკის მოწოდება.**

თურანის ადგილობრივ მთავრობის სახელით ქიაზიმ-ბეკის გამოქვეყნებულ მოწოდებაში ნათქვამია, რომ თურანის ბოლშევიკებს მოსკოვის მაჰმადიან ბოლშევიკებთან აქვთ დამოკიდებულობა და მათ შორის წესიერი მიწერ-მოწერაა გამართული.

## სერბია

**ბაასი სერბეთის წარმომადგენელთან.**

„პარუსი“-ს თანამშრომელს უბაასნია სერბეთის წარმომადგენელ ნინადიჩთან, რომელსაც, სხვათა შორის, უთქვამს:

„მე მივიღე ბელგრადიდან ცნობა, რომ სლავიანთა პატრიოტულ საზოგადოების ინიციატივით სერბეთის მთავრობას გაუმართავს ხელის მოწერა რუსთა ჯარისათვის. ჩემ მიერ მიღებული ცნობით, მოხალისენი მოდიან მრავალ რიცხოვანი შედგენილობით, უმთავრესად კი სერბიელი აფიცრები. სლავიანთა ქვეყნების მხრით რუსეთისადმი სამხედრო დახმარების გაწევის საკითხი ახლო დღეებისა. ეს სამშვიდობო კონფერენციის მუშაობის დამთავრებაზეა დამოკიდებული, რადგან მშვიდობიანობის საკითხების საბოლოვო გადაწყვეტა გაანთავისუფლებს იმ სერბეთის ჯარებს, რომელნიც ამ ჟამად იცავენ საზღვრებს იტალეთის, რუმინეთის, ბულგარეთის მხრით.

ჩვენ ძალიან კარგათ გვესმის, რომ სამხრეთ სლავიანეთის არსებობის საკითხი მთლიანად დამოკიდებულია ერთის და ძლიერი რუსეთის აღდგენისაგან. ჩვენ ვესალმებით პრეზიდენტ ვილსონის ხალხთა ლიგის შექმნის პროგრამას, მაგრამ ჩვენა გვსურს შევიდეთ ამ ლიგაში როგორც ძლიერი სლავიანური კავშირი. ამ საქმეში ჩვენდამი დახმარების გაწევა შეუძლია მხოლოდ რუსეთს, რადგან მხოლოდ მას შეუძლია ჩვენი დაცვა ჩვენი მრავალ რიცხოვანი მტრებისაგან.

## ბელგია

**ბელგიის საკითხისთვის.**

გაზ. „პტი პარიზენს“ მოჰყავს შემდეგი ცნობები ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკების შესახებ ბელგიასთან. ბელგიას უკვე არ სურს დარჩეს 1839 წელს გადაწყვეტილ ნეიტრალურ როლში.

მას, აქვს რა მხედველობაში თავდაცვის ინტერესები, ცდილობს მოახდინოს სამხედრო შეთანხმება ინგლისთან და საფრანგეთთან, რომელნიც დაეხმარენ მას 1914 წელს და თავიანთი გამარჯვებით მიანიჭეს ბელგიას დამოუკიდებლობა.

ბელგიის ამ მისწრაფებას თანაგრძნობით ეპყრობიან საფრანგეთი და ინგლისი. ინგლისელ დიპლომატების მიერ შემუშავებულია პროექტი, რომლითაც ინგლისის მხრით უზრუნველყოფილია ბელგია. საჭიროა დრო და ჟამი ხალხთა კავშირის მიერ წვრილ სახელმწიფოების დაცვის საკითხის განსახორციელებლად, მაგრამ ჯერ ჯერობით ეს საკითხი განუხილველად არის დატოვებული. პარიზი და ლონდონი ერთად მუშაობენ, რომ იპოვონ გამოსავალი ბელგიას სრული დაკმაყოფილებისათვის.

**ანარქია მცირე აზიაში.**

ფრანგულ პრესას კონსტანტინეპოლიდან ატყობინებენ, რომ ქაოსი და ანარქია მცირე აზიის ცენტრალ ადგილებში თანდათან იზრდება. მუსტაფა ქემილ-ფაშას მოძრაობამ უკვე დაჰკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა. ასეთივე ძლიერი მოძრაობაა ჩერქეზებში ბალიკესსერის სანახებში. ჩერქეზებს მეთაურობს ახმედ ბეი, მეტად გავლენიანი პირი. მას მხარს უჭერენ ოსმალთა ლიბერალ ერთობის დასიც.

## უმაღლეს საბჭოში

(საქ. დეპ. სააგ.)

**უმაღლესი საბჭო** პარასკევს უმაღლეს საბჭოს ორჯერ ჰქონდა სხდომა. ერთი იყო ღია და მეორე დახურული. ორივე სხდომას დაესწრენ ლონდონიდან წინა დღით ჩამოსული ლორდ კერზონი და ბონარ ლოუ ინგლისის მხრივ და ნიტი და შალოია იტალიის მხრივ. საზავო კონფერენციის მთავარმა მდივანმა სხდომას ანგარიში მისცა გერმანიის საზავო დელეგაციის თავმჯდომარე ფონ-ლერსნერთან გაწეულ მოლაპარაკების შესახებ. დიუტასტამ ფონ ლერსნერს აცნობა კომისიის მიერ შლეზვიგის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, რომლის საზავო ხელშეკრულების ძალაში შესვლისთანავე ცხოვრებაში იქნება გატარებული. შემდეგ საბჭომ გადასწყვიტა, რომ უმაღლეს საკონტროლო კომისიის ხარჯები დაედება გერმანიას გადასახადებლად იმგვარათვე, როგორც ხარჯები საოკუპაციო ჯარებზე. ღია სხდომის გათავების შემდეგ 5 დიდ სახელმწიფოს წარმომადგენლები დახურულ სხდომაში მსჯელობდენ. იქ შეეხენ უმთავრესად ადრიატიკის საკითხს „პტი პარიზიენის“ სიტყვით სხდომაზე იტალიის წარმომადგენლებმა სურვილი გამოსთქვეს, რომ ამ საკითხში შეუთანხმდენ მეორე დაინტერესებულ ხალხს სამხრეთ-სლავაკებს.

გარეშე საქმეთა მინისტრის კაბინეტში იყო სხდომა, რომელსაც დაესწრენ ლორდ კერზონი, შალოია, ლლოიდ ჯორჯი, მატსუი და ვილიამ ბერტელო. ისინი ბჭობდენ სამხრეთ რუსეთის მდგომარეობის შესახებ და აგრეთვე შეეხენ ზოგიერთ საკითხებს, რომლებიც ჰუნგრეთს ეხება ინტერესებს. ერთი ამ პრობლემათგანი სამხრეთ-სლავიის მთავრობამ კონფერენციის ყურადღება მიაქცია მას, რომ 1868 წლის ხელშეკრულებამ, რომლის ძალითაც კროატო-სლოვენიის სახელმწიფო ეკუთვნოდა ჰუნგრეთს, ამ მხარეებს ზოგი ფინანსიური ვალდებულება დაადო, საზავო ხელშეკრულობის ძალით ეს ვალდებულება უნდა მოიხსნას, რადგან ეს სახელმწიფოები გაიყვენ. საკითხი გადაეცა იურიდიულ კომისიას.

# ახალი ამბები

## საახალწლო მილოცვის ბარათი

**გაზ. „საქართველო“-ს**

სამშობლოს გარე, სამშობლოსთვის მებრძოლი მხედრები წრფელი გულით ესალმებიან ეროვნულ პრესას, ქართულ გამარჯვებას უგზავნიან გაზეთის თანამშრომლებს.

ჯარს და გვარდიას—ერის საძირკველს უსურვებენ სიმტკიცეს, სრულიად ქართველ ერს ეროვნულ თავისუფლებით დატკბობას, მამულის განსაცდელის ჟამს ერთსულოვნებას!

დიდება საქართველოს, დღეგრძელება დამოუკიდებლობის მხნედ დამცველ დემოკრატიულ მთავრობას!..

ქართველი მხედრები:

**ალ. გულისაშვილი, ალ. ნათიშვილი და ირ. დიდიძე, ა. მაჭავარიანი შ. მაჭავარიანი და ექიმი ჯიგნარაძე დ. ეზრაელიძე.**

## „სტუდენტის დღე“

(მოწოდება დაბა-ქალაქებისადმი).

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამგეობამ პროფესორთა საბჭოს დასტურით გადასწყვიტა ყოველ წლიურად 26 იანვარს იდღესასწაულოს უნივერსიტეტის გახსნის დღე, ამისათვის საჭიროდ დაინახა სრულიად საქართველოს დაბა ქალაქებში აღინიშნოს ეს დღე, როგორც ერთი ღირსშესანიშნავი დღეთაგანი საქართველოს კულტურის აღორძინებაში. ამ დღეს ადგილობრივ, უნივერსიტეტის მეგობრების შემწეობით, უნდა მოეწყოს სადღესასწაულო სღამოები, რომელზედაც ქართველ ერს გააცნობენ დიად მნიშვნელობას ქართული ცივილიზაციის საფუძვლის სახელმწიფო უნივერსიტეტისას. ქუჩებში უნდა გაიყიდოს კავშირის მიერ საგანგებოდ გამოცემული გაზეთი და ყულაბებით შეგროვდეს ფული ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ. წინადადება მიეცეს ყველა გასართობებს (კლუბებს კინემოტოგრაფებს და სხვებს), რომ მთელი ამ დღის შემოსავალი ან ნაწილი მაინც გადაიდოს აღნიშნულ მიზნისათვის.

გაცნობებთ რა ამას, უმორჩილესად გთხოვთ ეხლავე დაარსოთ სტუდენტთა დღის მომწყობი კომისია, შეიმუშავოთ ადგილობრივი პირობების მიხედვით დღის პროგრამა და გვაცნობოთ რა სახის დახმარება დაგჭირდებათ ცენტრიდან.

საჭიროა და მასთან სასურველიც, რომ ამ დღესასწაულში მონაწილეობა მიიღონ ყველა ადგილობრივმა სახელმწიფო, საზოგადოებრივმა და სხვა არსებულმა დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა.

საქმის მსვლელობისა და კომისიის მუშაობის შესახებ ცნობები უნდა გამოიგზავნოს შემდეგის მისამართით: თბილისი. თავისუფლების მოედანი. სტუდენტთა სასადილო. სტ. გ. სვანიძეს.

სტუდენტთა კავშირის გამგეობა.

## სამხატვრო ქრონიკა

**სურათების გამოფენა.** დიდების ტაძარში დაიხურება კვირას 18 იანვარს ნაშუადღევის 4 საათზედ.

## თეატრი

**დღეს:**

სახელმწიფო თეატრი. „ფაუსტ“ და „ვალპურგიის ღამე“

„ტარტოს“ დრამა „ქალი იებით“

## ბრძანება

**რესპუბლიკის მთავრობისა სამხ. უწყების მიმართ.**

დეკემბრის 31 1919 წ. ქ. თბილისი

ვშორდები-რა რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს, როგორც მათი უშუალო ხელმძღვანელი, ვალდებულათ ვსთვლი ჩემს თავს გამოვუცხადო ღრმა გულ-წრფელი მადლობა ყველა იმ პირთ, რომელნიც მეხმარებოდენ და ხელს მიწყობდენ ჯარის შექმნა-განმტკიცების ფრიად მძიმე და მეტის-მეტად საპასუხისმგებლო საქმეში.

ქართველი ერის განახლებული ცხოვრება და მისი თავისუფლების უზრუნველყოფა მოითხოვდა არსებულ რეგულიარული ჯარის ჩვენი მდგომარეობის მიხედვით გადახალისებას და მისი საომარ ძლიერების უმაღლეს წერტილამდის აყვანას. აუცილებელი გახდა ჯარის რეორგანიზაციის ცხოვრებაში გატარება, ჯარის ყოველ ნაწილებში კულტურული მუშაობის გაჩაღება და სამხედრო მზად მყოფნის გარკვეული ენერგიით მომზადება. მძიმე და ძნელი იყო ყოველივე ამის მიზან შეწონილად შესრულება. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ იძულებული ვიყავით გვემოქმედნა ირგვლივ შემოსეულ გარეშე მტრებისა და ბნელი ძალებით მოწყობილ შინაურ არეულობის წინააღმდეგ, ჯარმა სახელოვნად სძლია ყოველივე ამას და დაასრულა თავისი მოწყობა-გადახალისება: დღეს ჯარის ყველა ნაწილები უკვე მოთავსებულია თავიანთ მუდმივ ბინებში და აწარმოებს სისტემატიურად გაძლიერებულ სამხედრო და კულტურულ მუშაობას. ყველა ამ სიძნელესთან ერთად აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რეგულიარული ჯარი სავსებით შეუსისხლხორცდა რევოლიუციის მოხაპოვართ ნამდვილ დარაჯს — სახალხო გვარდიას და ამით საფუძველი მიეცა საშვალება ყველა პროვოკატორს ქართველი ერის ცხოვრების საწინააღმდეგო მუშაობის წარმოებისა. და ყოველივე ამ აღნიშნულ სიძნელეთა გადალახვა და მძიმე საქმის გამარჯვებით დაგვირგვინება აიხსნება მხოლოდ და მხოლოდ ოფიცრების თავდადებულ მუშაობა-ენერგიით და ჯარის კაცთა მიერ თავიანთ მოვალეობის სრული შეგნებითა და სიყვარულით ასრულებით.

კერძოთ ულრმეს მადლობას ვსწირავ სახელოვან სახალხო გვარდიას და მის ხელმძღვანელთ, რომლებმაც დემოკრატიისა და თავისუფლებისათვის უმწიკვლო და განუსაზღვრულ სამსახურის მაგალითის მოცემით და ყოველმხრივი დახმარებით ხელი შემიწყო ჩვენს მძიმე მუშაობაში.

აგრეთვე მთელი გრძნობით ვემშვიდობები იმ ძვირფას და ერგულ ჯარის ნაწილებს, რომლებიც დღეს იმყოფებიან ფრონტზე და, მიუხედავათ ყოველგვარი გაჭირვებისა, სისხლით იცავენ ულმობელ მტრებისაგან ჩვენი ერის არსებობა-დამოუკიდებლობას და იმს დიად თავისუფლებამ.

ვსტოვებ-რა სამხედრო მინისტრის თანამდებობას, კიდევ ერთხელ ახურვალი მადლობას ვუძღვნი ყველა გენერლებს, შტაბ და ობ.-ოფიცრებს და ჯარისკაცთ მათი რესპუბლიკის საკეთილდღეოთ მუშაობა მოქმედებისათვის. ამავე დროს ბედნიერად ვგრძნობ თავს, რომ მე, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრს, მომავალში უფრო მეტი საშვალება მექნება მთელი თავისი ენერგიით ხელი შევუწყო ჯარის შევსებას და შინაური მდგომარეობის გაჯანსაღებით საომარ ასპარეზზე ყოფნის დროს ჯარის ზურგის განმტკიცებას და მისი გამარჯვების გაადვილებას.

სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ახლო მომავალში სრულიად გაფოლადდება რეგულიარული ჯარი, ის გახდება რესპუბლიკის სურვილ-უფლებათა ნამდვილი დარაჯი და სახალხო გვარდიასთან ერთად გადალახავს ყოველივე დაბრკოლებას და შესძლებს საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებას და მისი საზღვრების დაცვას.

ხელს აწერს: სამხედრო მინისტრი: **ნ. რამიშვილი.**

## პატარა ფელეტონი

### სულის თავშესაფარი.

დიდი ტაძარი მლოცველებით იყო სავსე. ღრმა გუმბათიდან გრძლად ჩამოკიდებული ჭაღი ელექტრონის სანთლებით ელვარებდა.

მოზარდთა გუნდი გალობდა. დრო და დრო აკიდებული ხმა მათი არა ამ ქვეყნიურს ხმად ედებოდა ტაძრის მთელს კრებულს, ადიოდა ზეცისკენ, ქრუანტელს ჰგვრიდა მსმენელსა...

პირველად ვიდექ ამ ტაძარში. თუმცა რამდენიმე ათეული წელიც არის, რაც ისა სდგას იმ გამოსაჩენ ადგილზე, თითქმის ყოველ დღე გამივლია იმის წინ, მაგრამ თითქო არც კი არსებობდა ის ჩემთვის... მე ჩემი ქვაშვეთი მეგულებოდა მის პირდაპირ და იმას არც კი ვამჩნევდი. უცხო იყო ის ჩემთვის... უსიამოვნოც...

იმ დღეს იქ საგანგებოდ მივედი. ძნელია გადმოცემა იმ განცდისა, რის ღირსადაც ერთი საათის განმავლობაში მაინც ვიყავი! ყველაფერი იქ დანახული, გაგონილი ისეთი დიდი, არა ჩვეულებრივი მნიშვნელობისა იყო ჩემთვის, ის გუმბათიც, ის ჭაღიც, სამშობლო ენაზე ის ღვთის მსახური მოლოცვარიც, ის მგალობელნიც! ამ გრძნობაში ერთად ირეულიყვნენ სიხარული რაღაცის, კმაყოფილება თავმოყვარეობისა რაღაცის გამო, შურის ძიება გამარჯვებულის...

თანაც სათნოება, ლმობიერება, პატივება მოყვასისადმი, მოკრძალება გვერდში მდგომისადმი, სიფაქიზე, სიყვარული ყველასი იქა და გარედ და საგალობელთა უზენაესი ზეგავლენით ყელში მობჯენილი, შეკავებული ცრემლები, ცრემლები...

აი ერთი წმინდანის წინ მუხლ მოდრეკილი მშვენიერი ბანოვანი... ვუცქერი მიშტერებით და ვგრძნობ, რომ მისთვის მის გარშემო აღარავინ არ არსებობს! მთლად ჩანთქმული ლოცვა-ვედრებაში...

ახალგაზრდა ქალი, ასეთი სასოებით მლოცველი!.. რა სისპეტაკე, რა სიწმინდე გამოიხატებოდა ამ სურათში! არავითარს ბოროტ-გრძნობას არ ექნება ადგილი მის არსებაში! მას შეუძლიან მხოლოდ... სიყვარული!.. შეიძლება ის (ქუნებური) მკვლელიც გახდეს, მაგრამ ეს მოხდება მხოლოდ... სიყვარულით. სხვაფრივ სუფთაა მისი გული! შორს არის მისგან სიძულვილი-შური, მტრობა!

აი მეორე კუთხეში სამიოდე წლის გოგონა! ისა სდგას დაჩოქილი დედის უკან. ოქროს ფერი კულულები წითელი ქუდის ქვეშიდან კოხტათ მხრებზე გადაჰყრია. გრძელი, ბეწვის არშიანი პალტოთი, ლამაზი ფეხსაცმელებით პაწაწინა ფეხებზე, დინჯადა სდგას დედის გრძნობით გამსჭვალული და უცდის. როდის ადგება დაჩოქილი მშობელი. ასე სჩანს თითქო თვით ანგელოზი ჩამოფრენილა ზეციდან, რომ მორწმუნეთ ცხადლივ მოევლინოსო!

და აი ეს ლოცვაში ჩანთქმული ბანოვანი, ეს უმანკო ბავშვი ტაძარში, ორივენი არა ჩვეულებრივ სახეს იღებდნენ და თითქო თავისის სიწმინდით, უმანკოებით წმინდანის შარავანდედით შემოსილიყვნენ!

ვაკვირდებოდი სხვა მლოცველთაც და ვგრძნობდი, რომ იქ ცნობის-მოყვარეობით, სახეიროთ არავინ იყო მოსული... ვინც ამ ცხოვრების გარდაუვალი ულმობელი კანონებით სულშეხუთვილი იყო, იქ ეძებდა შვებასა. ყველას გული, ფიქრი ერთ-არსებისაკენ იყო მიმართული, ერთის გრძნობით იყო მათი სული მომართული და ეს იყო ის გრძნობა უზენაესი, მომძეთ რომ სიყვარულით აკავშირებს ერთმანეთში!

გათავდა ღვთის მსახურება. ხალხი მოწიწებით გაშორდა ჯვარცმულს, მოკრძალებით, მორიდებით დაიშალა...

გამოვედი მეც უმაღლესი გრძნობების შთაბეჭდილებით... და ერთი საკითხი არ მცილდებოდა თავიდან.

მხოლოდ ღვთის სახელს შეუძლიან შექმნა ასეთის განცდისა.

მხოლოდ იქ იწმინდება ცხოვრების ჟანგისაგან სული ადამიანისა; მხოლოდ იქ ჰპოვებს ადამიანი შვებას სულისას.

მხოლოდ იქ იღებს ადამიანი ღვთის სახიერებას, იქ გრძნობს თავის არსებაში ნაწილს ღმერთისას და ნეტა თუ ვის არგებს, ან ვის რად უნდა რომ სულიერ თავშესაფარი მოესპოს ამ ადამიანს?!

ნინო ყიფიანისა.

## კუნძული ჰელგოლანდი

„ტაიმს“-ში დაიბეჭდა გაზეთის საკუთარ კორესპონდენტის წერილი.

წერილში დახატულია მდგომარეობა ამ პატარა კუნძულისა, რომელმაც გერმანიის ფლოტის მოქმედებაში, ასეთი დიდი როლი ითამაშა მსოფლიო ომის დროს. როცა ამ ოცდა ათი წლის წინედ ადგილობრივ მოსახლეობის სამწუხაროდ, დიდმა ბრიტანეთმა იგი გერმანიას დაუთმო, უკანასკნელმა ეს მყუდრო და ლამაზი კუნძული პრუსიულ სამხედრო ციხედ გარდააქცია, და ადგილობრივ მცხოვრებთა უფლებანიც, არა თუ შეზღუდა, არამედ შელახა კიდეც. როცა ომმა იფეთქა, მთელი მოსახლეობა, რომელიც დაიბადა და გაიზარდა ამ კუნძულზე და რომელსაც არასოდეს მატერიკი არ ენახა, გადაასახლეს ალტანსა და ჰამბურგში, სასტიკ თვალყურის დაჭერით.

კუნძულის კომენდანტმა ბრძანება გასცა, რათა სახლების, ოთახების და კაფეების გასაღებები დაეტოვებინათ და წაეღოთ მხოლოდ რაც ხელით შეიძლებოდა.

თუმცა ჰელგოლანდელები გერმანელ მოქალაქეებად ითვლებოდნენ, მაგრამ მთავრობა მათ მოექცა როგორც მოპირდაპირე სახელმწიფოს ქვეშევრდომთ. ომიანობის დასრულების შემდეგ კუნძულელთ მოკავშირე სახელმწიფოთა უმაღლეს საბჭოს მიმართეს პეტიციით, რომელშიც ითხოვდნენ უსამართლობის განდევნას. მათი ორიგინალი პეტიცია ასე თავდებოდა.

„ჩვენ, ჰელგოლანდის მოსახლენი, მცირე კუნძულზე, ზღვის შორის, მსოფლიო მღელვარებისგან დაშორებულნი შევადგენთ პატარა ნაციას, რომელმაც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში, დაიცვა თვისი დამოუკიდებლობა და თავისი ადგილობრივი ზნენი. ჩვენ არ ვესწრაფვებით არცა სიმდი-

## მიმოსვლა

**სახალხო მატარებლებისა ს. ს. რკ. გზ.**

**გადის თბილისიდან.**

| | | | |
|---|---|---|---|
| ფოთში | № 21 | ღამ. | 12 ს. 5 წ. |
| ქუთაისში | № 10 9 | საღ. | 8 ს. 7 წ. |
| ბათომში | № 5 | საღ. | 5 ს. 4 წ. |
| ფოთში | № 3 | დილ. | 9 ს. 56 წ. |
| ბათომში | № 1 | ღამ. | 11 ს. 33 წ. |

**მოდის თბილისში**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათომიდან | № 2 | დილ. | 7 ს. — |
| ფოთიდან | № 4 | საღ. | 8 ს. 45 წ. |
| ბათუმიდან | № 6 | შუად. | 12 ს. 10 წ. |
| ქუთაისიდან | № 11,12 | დილ. | 9 ს. 30 წ. |
| ფოთიდან | № 22 | დილ. | 6 ს. 06 წ. |

**თბილისი-სალოღლი**

**გადის სალოღლში**

| | | |
|---|---|---|
| № 8 | საღამოს | 6 ს. 5 წ. |
| № 6 | შუადღის | 2 ს. 32 წ. |
| № 4 | საღამოს | 9 ს. 50 წ. |

**მოდის სალოღლიდან.**

| | | |
|---|---|---|
| № 3 | დილის | 7 ს. 27 წ. |
| № 5 | ნაშუად. | 3 ს. 5 წ. |
| № 7 | დილის | 11 ს. 52 წ. |


## საქ. სავ.-სამრეწველო პალატა

თბილისი, ეროვნულ საბჭოს (ყოფ. ფრეილინის) ქ., 11, ტელ. 9—18

პალატა აღმოუჩენს ვაჭარ-მრეწველებს ყოველგვარ კანონიერ დახმარებას უფასოდ და მსურველთ მისცემს:

1. **იურიდიული განყოფილება**—რჩევა-დარიგებას სამოქალაქო საქმეთა შესახებ, რომლითაც კავშირი ექნებათ ვაჭრობა-მრეწველობასთან (11—2 საათამდის).

2. **სატეხნიკო განყოფილება**—რჩევას და ცნობებს შესახებ ყოველგვარ მანქანებისა, მასალებისა და ქარხანა-ფაბრიკებისა, შეადგენს მოკლე გეგმებს და ხარჯთ-აღრიცხვას (1—3 ს).

3. აგრონომიულ—რჩევა-დარიგებას—10—2 ს-მდის.

4. სავაჭრო-განყოფილება დაიბარებს ევროპიდან მსურველთათვის საქონელს, ფასებს, ხიმუზებს, ცნობებს; მოსძებნის იქ საქართველოს ნაწარმოებისთვის საუკეთესო ბაზარს; დაეხმარება სავაჭრო მიწერ-მოწერაში რუსულ, გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე.

პალატას ჰყავს საკუთარი წარმომადგენელნი ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაში, აგრეთვე აგენტები ჯერ-ჯერობით ქუთაისში და გორში.

**სავაჭრო-სამრეწველო მუზეუმი** პალატისა მიიღებს გამოსაფენად ნიადაგისა და მრეწველობის ყოველგვარ ნაწარმოებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრეს, არც განდიდებას, ჩვენ მარტო გვსურს და ვიმედოვნებთ ჩვენი სიცოცხლე გავატაროთ ჩვენს განმარტოებულ კერასთან, კლდეებზე, მშვიდობიანობასა და სიწყნარეში, როგორც ჩვენ წინაპრებს უცხოვრიათ“.

ჰელგოლანდელები, კორესპონდენტების სიტყვით, მოითხოვენ მხოლოდ საკუთარ წესწყობილების დაბრუნებას, და უმთავრესად განადგურებას ციხისას, რომლის რეჟიმმა ასე დაჩაგრა ისინი მეციხოვნეთა და უცხო პოლიციის გარევით.

# პური

ირაკლის დროს ჩვენი პური ჰყოფნიდა არა თუ მარტო ქართველს, არამედ მთიელებსაც, და რჩებოდა კიდევ იმდენი, რომ გაჰქონდათ სპარსეთშიაც. ასე, ნადირშაჰი რომ დარუბანდის მხრიდან ებრძოდა ლეკებს, საქართველომ მას მიაშველა მილიონი მეტი კოდი პური.

ახლა ჩვენ უპუროდ გვიჭირს და თვალი გვიჭერია არგენტინისა თუ სხვა სახელმწიფოებისკენ, რა არის, მალე მოგვაშველონ თავისი ფქვილი, რომ შიმშილით არ დავილუპნეთ. ჩვენი ქვეყანა-კი ისეთია, რომ გონიერად მომეურნებული კარგა გამოკვებავს არა სამ მილიონ ქართველს, არამედ ას მილიონამდისაც.

მიწა საქართველოში ბევრია, მხოლოდ მას უნდა გონიერი შემუშავება, მოვლა, პატრონობა. უცხოეთისკენ კი არ უნდა გვეჭიროს თვალი პურისათვის არამედ შინაურობაშივე გავაძლიეროთ პურეულის თესვა. არგენტინა, საიდანაც პურს ველით ვით ციურ მანანას, ერთ მუჭა ხორბალსაც არ აღმოაცენებდა მაშინ, როდესაც საქართველო თავის ექვს-მილიონიან მოსახლეობით ჰყვაოდა და ამიერ კავკასიას ჰპატრონობდა გმირულად. იმუშავა ხალხმა და არგენტინაში, როგორც ამბობენ ჩვენში, პური მოვიდა უხვად. უნდა ვიმუშაოთ ჩვენდა გუთნები გავაპრიალოთ ყველა თავისუფალ ადგილების გადახვნით. რომ დაითესოს ბორჩალო, შირაქი, ქიზიყი და სხვა ადგილები ამერ-იმერისა, პური იმდენი მოგვივა, რომ ძველებურად ჩვენც „თავსაყრელად“ გვეყოფა და გარედ გასატანადაც დაგვეზოგება ბლომად. ამისთვის-კი საჭიროა ზრუნვა არა მარტო მიწათ-მოქმედების მინისტრისა, არამედ ყოველის ქართველისა. პური ყველასთვის საარსებო საგანია და მის მოყვანა-მოწევაში ყველამ უნდა მიიღოს მხურვალე მონაწილეობა.

რაღა თქმა უნდა, ყველა ჩვენთაგანი მეგუთნეთ ვერ დადგება, მაგრამ ამ მეგუთნის დახმარება და შემწეობა-კი შეუძლიან.

ჩემის ფიქრით, ყოველი მოქალაქე ადვილად შესძლებს გამოიღოს თავისი წვლილი საქართველოს ნიადაგის დასამუშავებლად, და ეს წვლილი იმ სიდიდე უნდა იყოს, რომ მათ დაითესას ერთი დღიური მაინც. ეს უნდა იყოს ისეთივე აუცილებელი მოვალეობა ყოველ, კაცურ-კაცისა, ვით საკუთარი ოჯახისთვის ზრუნვა, ღვიძლ შვილების ასაზრდელი ხარჯი.

საჭიროა მთავრობამ თაოსნობა გასწიოს, ყველა კომლს (მჟვნელ მთესველ გლეხებს გარდა) შეაწეროს სათანადო „სახნავ-სათესი“ გადასახადი, გამოიწეროს გუთნები, დაიქირაოს გუთნის დედები და გადაახნევინოს ცარიელი, ყამირად თუ პარტახლად გდებული მიწები საქართველოისა. უამისოდ ჩვენი დარჩენა შეუძლებელი იქნება და ყოველ წლივ მოგვიხდება უცხოეთისკენ თვალის ჭერა და ხელის გაწვდა. ვისაც მშვიდობიანი ცხოვრება უნდა „სახნავ-სათესის“ ხარჯსაც არ უნდა ერიდებოდეს.

მ. ჯანაშვილი.

# კორესპონდენციები

## ქართლი 1919 წლის მიწურულში

ქართლი წარსულ წლის მიწურულში საშიშ რყევაში იყო, ეს საშიშროება გამოდიოდა ბოლშევიკებისა და ყაჩაღების დაუშრეტელ მუშაობით, პირველნი ჰგზავნიდნენ თავიანთ მოკადაგეებს ხალხში და არსებულ წესწყობილების და მთავრობის წინააღმდეგ პროპაგანდას აწევინებდნენ, მეორენი კი ბოლშევიკების სახელით ყაჩაღობით, ქურდობითა და მუქარით ხალხს შიშის ზარსა სცემდნენ და მთავრობის უღონობაზე ლაპარაკობდნენ. სამაზრო ადმინისტრაცია, ე. ი. მაზრის კომისარი და მისი ხელქვეითნი რაღაც პანტამიმოს თამაშობდნენ, თითქო ისინი არც კი არსებობდნენ.

ყველა ზემო ჩამოთვლილ ჯურის ხალხმა ერთსულოვანი გამოსვლები დაიწყეს. მეჯვრიხევის ერობის მოხელეები დაატუსაღეს, ს. მეტეხში დაატუსაღეს გორის მაზრის სააგრარო კომისიის თავმჯდომარე შაქრო ჯავახიშვილი, ყველა ესენი ბოძებზე თუ კედლებზე მისაყუდებლად და დასახოცათ გაამზადეს. ზემო-ქართლში ხომ ნამდვილი ომის მანევრები იყო ბოლშევიკ არსენა ლომიძის და მის ცხენოსან და ქვეითა ბრბოების და გვარდიელებს შორის. ბრძანება იყო, გამოსული ხალხის განიარაღებისა. გვარდია და ჯარი მხნედ მოეკიდა ხალხის განიარაღებას და მოთავე ხალხის შეპყრობას. ჯერ ზემო-ქართლი და გუჯარეთი განაიარაღეს, შემდეგ შუა ქართლი, ლიახვის ხეობა და ბოლოს ოსები. ქართულ სოფლებს, განიარაღების დროს, უფრო სასტიკათ ეპყრობოდნენ, ოსებს კი უფრო თავაზით იარაღი ბერი შეჰკრიბეს. ოსების მეთაური ბოლშევიკები შიიმალნენ. აჯანყებებს და გამოსვლებს ბოლო მოეღო.

დეკემბრის 15 ს გორში მოწვეული იყო ქართლის ერობების, თემების, საკულტურო დაწესებულების და სხვათა წარმომადგენლები ქართლში მომხდარ უკანასკნელ გამოსვლების მიზეზთა გამოსარკვევად დემოკრატიული ყრილობა.

დაესწრნენ ორასზე მეტი წარმომადგენელნი და სტუმრები.

თბილისიდან ჩამოსულნი იყვნენ დამფუძნებელი კრების წევრნი ყველა ფრაქციიდან. კრებას თავმჯდომარეობდა გორის სამაზრო ერობის თავმჯდომარე ახალაძე.

კრებას მიეცა წინადადება გამოერკვიათ გორის მაზრაში უკანასკნელი გამოსვლების მიზეზები.

თავმჯდომარე ახალაძე გამოსვლების მთავარ მიზეზებს პოულობდა ქართლელების სრულ წიგნის უცოდინარობაში და გაუნათლებლობაში, პარალელი გაატარა გურიასა და ქართლს შუა ხალხის განათლებაზე. გურიაში თურმე რამდენიმე ასს გაწვეულ ჯარის კაცზე ასში ორმა არ იცოდა ხელის მოწერა. ქართლში კი რამოდენიმე ასში ორმა იცოდა ხელის მოწერა და აი ეს გაუნათლებლობაა მიზეზი გამოსვლებისო.

ხალხის წარმომადგენლები კი მეტწილად, თავიანთ გრძელ ლაპარაკში აცხადებდნენ: უკმაყოფილება მაშია, რომ მეშამულეებს ორსა და სამს და მეტ ნორმას აძლევდნენო.

ქ. ნინიძე უმტკიცებდა, რომ ეს კანონიერი გზით ხდებოდა, და შეიძლება შეცდომითაც ხდებოდა ზოგი რამ, მაგრამ ესეც იყო, რომ [illegible] ნორმაზე მეტი სჭერიათ მამული, მაგრამ კი არ ჩამოურთმევიათო. მეორენი აცხადებდნენ რომ ბევრგან ტყეებით სარგებლობა აიკვეთა. ამასთანა ზამთარში მაღ-ვენახებს ჩეხენ შეშათო. ტყის ყარაულები ნებადართულ ტყეში მოსიარულე ხალხს ავიწროებენ, ფულს, საქონელს, შეშა-ფიჩხს ართმევენ და კიდეც სცემენო. სხვანი აღნიშნავდენ, რომ მოხელეები ქრთამს იღებენო. ერთი ამბობდა, მართალია მექრთამეობა ძალიან არის გახშირებული, უქრთამოდ არაფერი კეთდებაო, მაგრამ ამ მექრთამეობაში თვით ქრთამების მიმცემები არიან დამნაშავენიო.

კრება გათავდა გვიან ღამე და მაინც ვერ გამოარკვიეს მიზეზები გამოსვლისა. მთავარი მიზეზები გამოსვლების, რომლებიც კარგად სცოდნიათ დამფუძნებელი კრების წევრებს, ხალხმა არ გამოამხეა, არა სთქვა რა ამაზე.

ეხლა ქართლში უკვე გული ზამთარია. ტყეში თუ დადის ხალხი და საქონელს უვლის ბოსლებში თორე სხვა არაფერი კეთდება. ვისაც თესლი ჰქონდა, დათესა. პურის ნაკლულობა საგრძნობია, სიმინდია მთავარი საკვები. ბაზრებში ღორები და ქათამ-ინდოური ბლომად შემოჰყავთ, მაგრამ უსაჭმელობით უსუქარნი არიან. სოფლის ბაზრებზე ვერ აქვს კარგი ფასი, ქალაქებში მეტად დიდი ფასი აქვს. წვრილი სპეკულიანტობა საშინელ ხასიათს იღებს. ხალხი ტიტველ შიშველია და უფულო. სკოლებში სწავლა რიგზე არ მიდის. ზოგან კაი ფეხზე დაყენებული სკოლა უწინ, დღეს სულ კარებ დაკეტილია. მასწავლებლები უსუსური ბავშვებივით არიან! ბევრგან თითონ ვერა მოუხერხებიათ რა.

საკრედიტო ამხანაგობები მეტწილად არ მოქმედებენ, გამგეობა დაქსაქსულია. მიბარებული ფულები ვეღარავის მიუღია. არც შესატანი ვალი მიაქვს ვისმე და არის ესე. ზოგან საფეიქრო სახელოსნო წლობით დაკეტილია, რომელიც ცოტა შეღავათს მაინც მისცემდა ტიტველ ხალხს ქსოვის საქმეში. ინტელიგენცია ამ ზემო ჩამოთვლილ საქმეების სულის ჩამდგმელი სოფლიდგან გასულია. სოფელი უპატრონოა.

ოცი წლის განმავლობაში შექმნილი სასოფლო-სამეურნეო კულტურა იღუპება. ხეხილის სანერგეები და ხილის ბაღები მეტადრე, ახლად, ხუთიოდე წლის განმავლობაში დარგული აშვებულ საქონლით ნადგურდება. აღარ არის ძალა, რომ საქონელი აღარ ატარონ უმწყემსოთ, ერთმანეთის ხალხს აღარ ეხატრება და ასე ერთმანეთის ჯიბრით საქონელს ამოაწყვეტინეს ხეხილის ბაღები ყველგან და ნამეტნავად ცხინვალ ზევით სოფლებში, სადაც მთელ ქართლში საუკეთესო ხილი მოდის და სამაგალითო ბაღებია მაჩაბლებისა, ლაშხისა, ხეთაგურებისა, ჯულუხაძეებისა და სხვებისა. მოეპატრონეთ ერობებო ამ განადგურების გზაზე დამდგარ კულტურას, თორემ მერე გვიან იქნება. მიეპატრონეთ ერობებო და სხვა დაწესებულებებს ვისაც ეს ზემო-ჩამოთვლილი საკულტურო საქმეები ხელს უფლიებას შეადგენს, თორემ მერე გვიან იქნება.

გახშირდა ფუტკრის სკების პარვა ფუტკრიანათ. ახლად აღორძინებული მეფუტკრეობა ნადგურდება. მთელი რიგი სოფლებისა შემიძლიან ჩამოვთვალო როგორც ქართველებში, ისე ოსებში მოპარული ფუტკრებით: მაგალითისთვის ქემერტი, ქურთა, გუფთა, მსხლები და მრავალი სხვა გაჰქურდეს, ფუტკრის სკები დაიპარეს და ფუტკარი დაანელეს. მოეკიდეთ ქურდებს სასტიკათ, თორემ მერე უფრო აღარავინ გასცემს ქურდებს. ხალხი სულ იმას ჩივის, რომ ვაძლევთ ხელში მთავრობას ქურდებსა და ავაზაკებს და მთავრობა მათ არა სჯობს და უკან გვიგზავნისო.

ა. ლ.

რედაქტორი:
„სარედაქციო კოლეგია“
გამომცემელი: თბ. ვაჭ.-მრ. კომიტეტი.

ექიმი
გ. ზანდუკელი.
მოსკოვის კლინიკის და სანატორიუმის ყოფილი ასსისტენტი.
შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს (ელექტრონით წამლობა და ფსიხოთერაპია). იღებს სალ. 5 ს.—6 ს. 9 ანასტასიევის ქუჩა № 13. ტელ. —31
265—25—1

მედიცინის დოქტორი
ბ. ა. ახვერდოვი
ყოფ. ორდინატორი პეტროგრადის ვენერიულ კლინიკისა იღებს ავადმყოფებს დილ. 10—12 საათ., საღამოთი 5—7 ნახ. ს-მდე საგანგებოდ ვენერიულ, კანის და სიფილისით ავადმყოფებს. (914 და 606-ის შეშხაპუნება) გადავიდა ახალ ბინაზე მიხეილის ქუჩა № 7 ვორონცოვის ძეგლთან შესავალი კუთხიდან ეკლესიის ქ. № 1,
50—2559—3

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკების
გ. გ. მეჭრაზიანი
შინაგანი ავადმყოფობა, ღვიძლისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეთში.. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ჭლექების ოპერაცია—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9 12 ს. და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის
[illegible]
[illegible]
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს 4 საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

დოქტორი მედიცინისა
მიხე ანთიმოზის ძე
ყალანდარიშვილი
უფროსი ექიმი თბილისის სამხედრო სკოლისა. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9 ს-მდე და საღამოს 5—7 საათ. მდე ოლღას ქ. 3. ტელეფონის № 17—21.

საექიმო კაბინეტი
ექ. პ. ტყეშელაშვილისა
მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ და სხვა გვარ სნეულებასი ავათმყოფები სასქეს და საშარდე ორგანოთსა (606 და 914 წამლობა) მიხეილის საავათმყოფოსთან, ფოსტის ახლოს პლეხანოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე საღამოს 6—7 ნახევა საათ 25—2536—1

# კანონის დასაცავად

(დამფუძნ. კრების ქრისტეშობისთვის 31-ის სხდომის გამო).

სოციალ-დემოკრატები რომ ჩინებული დემაგოგები იყვნენ, ამას ჩვენ დიდი ხანია ვამჩნევდით. რომ მოქარგულ სიტყვებით განუვითარებელ მასსის თვალების ახვევა მათ ხელობას შეადგენდა, ესეც არ გვაკვირვებდა ჩვენ სრულიად, რადგანაც სოციალ-დემოკრატი პროპაგანდისტის ფსიხოლოგია თავის განვითარებით ბევრად არ განირჩევა ბრბოს ფსიხოლოგიიდან.

შეიძლება აქ გვიპასუხონ, რომ პარტია არ არის უსულო არსება; რომ ის სცოცხლობს და ვითარდება ცხოვრების პირობების მიხედვით. ამიტომაც აზრთა შეცვლა არ წარმოადგენს მომაკვდინებელ ცოდვას. დავეთანხმოთ, თუ განებავთ, ამ მოსაზრებას: ვაპატიოთ სოციალ-დემოკრატიას მისი ადრინდელი შემცდარი მსოფლ-მხედველობა (თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, თუ რა ღირსება უნდა ჰქონდეს იდეიურ მიმართულებას, რომელიც საჭიროობს ასეთ პატიებას).

მაგრამ, აგრეც რომ მოვიქცეთ, ჩვენ ვერ შევურიგდებით მეორე მხარეს, მხარეს სოციალ-დემოკრატიის მოღვაწეობისას.

სახელმწიფო მართვა-გამგეობა, და განსაკუთრებით კი ისეთ რთულ პირობებში, როდესაც პირველად ეყრება საფუძველი სახელმწიფოებრივ წესწყობილებას, როდესაც გარშემო საშინელი არევ-დარევა სუფევს, როდესაც შიგნითაც დარღვეულია ჩვეულებრივი მოქალაქეობრივი ურთიერთობა,—ეს ადვილი საქმე როდია. თუ ჩვეულებრივ პირობებში სახელმწიფოს მართვა-გამგეობა მოითხოვს ბრძნულ გონებას, მით უფრო მეტია ეს მოთხოვნილება ჩვენ სახელმწიფოებრივ ვითარების არა-ჩვეულებრივ პირობებში.

მაშ თუ აგრეა, რა „მორალური საბუთებით იკისრა ჩვენმა სოციალ-დემოკრატიამ ასეთ პირობებში საქართველოს რესპუბლიკის სადავის ხელში აღება? რა შანსები ჰქონდა მას ეფიქრნა, რომ ის რიგიანად გაუძღვებოდა სახელმწიფო საქმეს? ნუ თუ მას ეგონა, რომ სახელმწიფოს მართვა, ურიცხვ მოწინააღმდეგე ინტერესების შერიგება და შემომქმედი ჰარმონიის განმტკიცება, ეს ისეთივე ადვილი საქმე იქნებოდა, როგორიც არის მიტინგის გამართვა მოედანზედ და პრტყელ-პრტყელი სიტყვებით „ამხანაგების“ ტაშის-ცემის გამოწვევა? სად მიიღებენ, ნეტავ, ჩვენმა სოციალ-დემოკრატებმა ის განათლება, რომელსაც მოითხოვს სახელმწიფო საქმეების გაძღოლა: შაურიან ბროშურებიდან? სად მიიღენ მათის პოლიტიკური გამოცდილება, რომელიც საჭიროა სახელმწიფოს აღშენებისათვის: ბნელი ციხის მყრალ სარდაფებში?...

საკვირველია, რომ ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ამ მხარეს ნაკლებ ყურადღებას აქცევს ქართული საზოგადოებრივი აზრი. ეს მხარე კი მეტად დიდ მნიშვნელოვანი საგანია.

რა მოუვიდოდა საფრანგეთის დიდს რევოლუციას, რომ დამხობილი რეჟიმის შესაცვლელად არ გამოსულიყო უშუალოდ საუკეთესო ნაწილი საფრანგეთის ინტელიგენციისა და სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება ჩავარდნოდა ხელში. ჩვენი სოციალ-დემოკრატების მზგავსს უვიც აგიტატორებს?... სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის ხელში ჩაგდება სასიამოვნო მოვლენაა, რა თქმა უნდა; მაგრამ ამ მოვლენას თან ახლავს დიდი მოვალეობაც... აი ეს აზრები გებადებათ უნებურად, როდესაც წაიკითხავთ ანგარიშს დამფუძნებელი კრების 31 დეკემბრის სხდომისას.

ამ სხდომაზედ ჩვენი ქვეყნის მმართველი პარტიის ბელადმა ბ. ნოე ჟორდანიამ, და მთელმა სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ გამოიჩინეს ისეთი უვიცობა, ისეთი უაზროვნება, რომ მართლაც გეშინია ამ ქვეყნის მომავლისათვის. ასეთ მმართველების ხელში აბა რა ბედნიერებას უნდა მოელოდეს ჩვენი სახელმწიფო!

2.

31 დეკემბრის სხდომაზედ წამოყენებული იყო, როგორც მოგეხსენებათ, საკითხი მთავრობის რეორგანიზაციის შესახებ, გრძელ კამათში, რომელიც გაიმართა ამ საკითხის გარშემო, მეტად საყურადღებოა ბ. ნოე ჟორდანიას დასასრული სიტყვა. საყურადღებოა არა თავისი დადებითი, არამედ სამწუხაროდ, თავისი უარყოფითი თვისებებით.

ბ. ნოე ჟორდანია იმართლებდა თავის თავს და ამართლებდა ამასთანავე მთელს მთავრობას იმ ბრალდებიდან, რომ მთავრობამ ვერ დაამყარა წესიერება, სხვათა შორის ბ. ჟორდანიამ აღიარა: „ჩვენ არა გვაქვს ძალა, რომ მოხელეთა უკანონობას შევებრძოლოთ... ჩვენში მეტად ძნელი გახდა დაცვა კანონიერებისა, იმიტომ რომ არავის სურს მოთავსდეს კანონის ფარგლებში“ (იხ. „ერთობა“, 6 იანვარს).

რამდენიმე სტრიქონით ქვევით მოყვანილია იმავე ბ. ჟორდანიას სიტყვები, რომლებშიდაც ის ეკამათება იმ აზრს, რომ ჩვენში არ არის თავისუფლება: „არ ვიცი“, ლაპარაკობს ბ. ჟორდანია: „თუ ჩვენში არ არის თავისუფლება, მაშინ სად არის?“ მაშ; ბ. ჟორდანიას აზრით ჩვენში ყოფილა თავისუფლება.

შევჩერდეთ მხოლოდ ამაზედ დავაკვირდეთ ზევით მოყვანილ ნაწყვეტებს ბ. ჟორდანია აღიარებს რომ საქართველოში არ არის დაცული კანონიერება („არა გვაქვს ძალა, რომ მოხელეთა უკანონობას შევებრძოლოთ“, ამბობს ბ. ჟორდანია), მეორეს მხრით კი იგივე ბ. ჟორდანია იმავე სიტყვაში ამტკიცებს, რომ საქართველოში არის პოლიტიკური თავისუფლება („თუ ჩვენში არ არის თავისუფლება, მაშინ სად არის,“ ეკითხება ბ. ჟორდანია თავის მოწინააღმდეგეებს). გამოდის რომ ბ. ჟორდანიას აზრით კანონიერების დარღვევა და პოლიტიკური თავისუფლება შეიძლება მოთავსდნენ ერთად; არამც თუ შეიძლება, საქართველოში თურმე ფაქტიურად ასედაც ხდება: კანონიერება არ არის დაცული, მაგრამ თავისუფლება დაცული ყოფილა.

საინტერესოა ამ შემთხვევაში, როგორ ესმის ბატ. ჟორდანიას პოლიტიკური თავისუფლების იდეა. რა არის პოლიტიკური თავისუფლება თუ კანონიერების დარღვევით მას არაფერი არ აკლდება? სად შეითვისა ბ. ჟორდანიამ ასეთი ორიგინალური პოლიტიკური ფილოსოფია, რომელიც ამტკიცებს, რომ თავისუფლების და კანონიერების შორის არ არსებობს არავითარი დამოკიდებულება?

ჩვენ კი, საცოდავ მომაკვდავებს, გვეგონა, რომ პოლიტიკური თავისუფლება არის სწორედ კანონის შესრულება და არა მისი დარღვევა. ამას გვასწავლიდენ უნივერსიტეტებში, ამავე აზრს ვკითხულობდით მონტესკიეს, კანტის, მილლის და მრავალ სხვა გამოჩენილ მოაზროვნეთა ნაწარმოებში. მართალია, უნივერსიტეტი “ბურჟუაზიული“ დაწესებულებაა, მართალია ისიც, რომ ზევით ჩამოთვლილი ფილოსოფები „ბურჟუაზიული“ მოაზროვნები არიან. მაგრამ რომ მათი განსაზღვრა პოლიტიკური თავისუფლების იდეისა სწორია, ამის ხომ არ უარყოფდა თვით სოციალისტი მარქსიც. რომ ბ. ჟორდანია დარწმუნდეს ამაში, საკმარისია ხელახლად გადიკითხოს ერთი დიდი ნაწარმოები, რომელსაც აწერია ზედ K. Marx „D. Kapital“*).

განვაგრძოთ განა კიდევ წერა იმაზედ, რომ თავისუფლება წარმოუდგენელია კანონიერების გარეშე? ეს ხომ ისეთი მარტივი და ყოველი განათლებული ადამიანის მიერ დღეს უდავოდ მიღებული დებულებაა, რომ მისი მტკიცება უფრო შეეფერება ელემენტარულ სახელმძღვანელოს, ვიდრე გაზეთს...

მთელი უბედურება სოციალ-დემოკრატების მართვა-გამგეობისა სწორედ იმაში შესდგება, რომ ისინი კისრულობენ პოლიტიკური თავისუფლების განმტკიცებას, მაგრამ ხეირიანად არც კი ესმით, რა არის პოლიტიკური თავისუფლება. პოლიტიკური თავისუფლება მათი განუვითარებელი გონებისათვის შეიძლება დაცული იქმნეს კანონიერების გადალახვით ან კანონის სრული გაუქმებით. მათი ბუნდოვან აზროვნებაში პოლიტიკურ თავისუფლებას აქვს იგივე თვისებები როგორიც აქვს დესპოტიას. ისინი კიდევ არ გარკვეულან, რომ პოლიტიკური თავისუფლება ნიშნავს ხალხის და არა ადმინისტრაციის თავისუფლებას, რომ პოლიტიკურ თავისუფლებაზედ აგებული წესწყობილება ჰგულისხმობს ადმინისტრაციის სასტიკ ალაგმვას, რათა ამ უკანასკნელს არ ჰქონდეს საშუალება „თავისუფლად“ ინავარდოს მოქალაქეთა ზურგზე.

ჩვენ სოციალ-დემოკრატებს კი, როგორც ეტყობათ, პოლიტიკური თავისუფლება გაუგიათ, როგორც ადმინისტრაციის თავისუფლება კანონის შესრულებიდან. მოდით და მოსთხოვეთ ასეთ ხალხს პოლიტიკური თავისუფლების დამყარება საქართველოში. როგორ შეგიძლიათ, ბატონებო, დააწესოთ ისეთი რამ, რაზედ სწორი წარმოდგენაც არ გაქვთ, სხვა რომ არ იყოს რა. პოლიტიკური თავისუფლება მართლაც ბურჟუაზიული მცნებაა. ბურჟუაზიამ შექმნა ეს მცნება და ააგო მასზედ სახელმწიფოების ცხოვრება. ვისაც ჰსურს ამ მცნების შეთვისება, მან უნდა მიჰმართოს სწორედ იმ „ბურჟუაზიულ“ მოაზროვნეებს, რომელნიც ასე ათვალწუნებული ჰყავს სოციალისტურ პოჰმას. წინასწარ კი ვიდრე ამ მცნების შინაარსს სავსებით გაიგებდეთ, ღრმად შეითვისებდეთ და განიმსჭვალებოდეთ მისდამი ერთგვარი მოწიწებით (დიახ, მოწიწებით) ხელი უნდა აიღოთ ქვეყნის ბედის მოწყობაზედ.

როდესაც კი შეიგნებთ ხეირიანად, რა არის პოლიტიკური თავისუფლება მაშინ არ გამოიტანთ ისეთს ყოვლად უვიც დადგენილებას, რომ მთავრობის თავმჯდომარეს „მიენიჭოს განსაკუთრებული უფლებანი მართვა-გამგეობისა და კანონიერების დაცვის საქმეში“ („ერთობა“ 6 იანვარს).

„განსაკუთრებული უფლება“ და „კანონიერების დაცვა“ წარმოადგენენ ყოვლად შეუთავსებელ მცნებებს. კანონიერების დაცვა შესაძლებელია მხოლოდ მთავრობის განსაკუთრებული უფლებების მოსპობით და არა მისი დაარსებით. კანონიერების დაცვა პირველად ყოვლისა მოითხოვს საზოგადო წესის ან კანონის არსებობას. განსაკუთრებული უფლება კი ეწინააღმდეგება კანონს: განსაკუთრებული უფლება უარისყოფაა საზოგადო წესისა.

როგორ ჰფიქრობს სოციალ დემოკრატიული ფრაქცია, ნიკოლოზ რომანოვს არ ჰქონდა განა მინიჭებული ეს „განსაკუთრებული უფლებები“, მაგრამ იყო თუ არა მის დროს დაცული მოქალაქეობრივი თავის უფლება? თავის „განსაკუთრებული უფლებებით“ სოციალ-დემოკრატიული დამფუძნებელი კრება გვაბრუნებს უკან სწორედ თვითმპყრობელობის იმ წესებისაკენ, რომლის მოსპობას შევნატროდით მოუთმენლად. ჩვენ ვიბრძოდით იდეიურად ამ წესების წინააღმდეგ იმისთვის, რომ მათ მეოხებით კანონი არაფერს ნიშნავდა და ადმინისტრატორების მოქმედებას არ ჰქონდა არავითარი საზღვარი. დღეს კი სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია, რომელიც მკვეხარა ქოთაინეთით ცუდა იმას გაიძახოდა, რომ მან მიანიჭა ქვეყანას თავისუფლება, სცდილობს მოსპოს თავისუფლების ნასახიც და პრინციპიალურად სვამს საკითხს განსაკუთრებული უფლებების შემოღების შესახებ. განა ის არ გეყოთ, რომ ფაქტიური კონტროლის მოუწყობლობის გამო ისედაც იმდენი „განსაკუთრებული უფლებები“ გაქვთ, რომ გადააჭარბეთ ძველ დერჟიმორდებსაც. რაღად დაგჭირდათ კიდევ ამ ფაქტის დაკანონება? რეაქციას გვიმზადებს?!.

რა არის ეს, მხოლოდ სიბრიყვე, თუ წინასწარ გაზომილი ნაბიჯ? ღმერთმაც ჰქნას, რომ ეს მხოლოდ სიბრიყვე იყოს. ამ შემთხვევაში თვით ცხოვრება დაანახვებს ჩვენს პროპაგანდისტებს, რომ კანონიერების დაცვა არ შეიძლება გომეოპატიური საშუალებით, ე. ი. ახალი უკანონობის შექმნით.

თუ კი ეს წინასწარ განზომილი ნაბიჯია ვიწრო ეგოიზმის მიერ ნაკარნახევი, ნუ დაივიწყებთ, რომ ქართველ ერს კიდევ მოეპოვება თავისუფლების დამცველი ძალები. ფრთხილად ბატონებო! საქართველო არ არის მთლად მოწყვდეული დამფუძნებელ კრებაში. ამის გარეშეც იჩქეფს ცხოვრება.

*) „Doe palitische Freit bedeutet sebztändigkeit des Tuns unb Lasseus des Búrges in Bahmeu der iojialen und siaatehen geretjlichkeit“, ე. ი. პოლიტიკური, თავისუფლება ნიშნავს მოქალაქის მოქმედების თავისუფლებას საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი კანონიერების ფარგალში.

სტამბა „ცხოვრება“ გაბავილის შესახვევი №4.